

# ახალი განათლება

2014 წელი, 18-24 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 50 თეთრი

№39 (673) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


# ვეცადოთ შევქმნათ რაიმე ღირებული ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ



გვერდი 6

რუბრიკის „ქართველი სტუდენტები უცხოეთში“ სტუმარია
**ირაკლი გოგუა,**
კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის სტუდენტი

## რა სიახლეებს გვთავაზობს მიმდინარე სასწავლო წელს გამომცემლობა „დიოგენე“

გვერდი 2

## განათლება თანამედროვეობის მხარდამხარ

მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია თბილისის 128-ე საჯარო სკოლაში

გვერდი 5

## კითხვა, ანუ სიყვარული ბრძანებითი კილოს გარეშე




გვერდი 3-4

## როგორ მოვწყვიტოთ ბავშვი კომპიუტერის ეკრანს

მშობელთა კრება



გვერდი 9

# რა სიახლეებს გვთავაზობს მიმდინარე სასწავლო წელს გამომცემლობა „დიოგენე“

## გვესაუბრება გამომცემლობის „დიოგენე“ პროექტების მენეჯერი ვახტანგ შიხაშვილი

**– ბატონო ვახტანგ, ჩვენი გაზეთის მკითხველები კარგად იცნობენ „დიოგენეს“ საქმიანობას: თქვენს სასკოლო სახელმძღვანელოებს, ლიტერატურულ და სამეცნიერო გამოცემებს. ბოლო წლებში პოპულარობა მოიპოვა თქვენ მიერ გამოცემულმა დამხმარე სახელმძღვანელოებმა. მინდა, ჩვენს მკითხველებს გააცნოთ, კერძოდ რა სახის დამხმარე სახელმძღვანელოებს სთავაზობთ მათ და ვისთვის არის ისინი განკუთვნილი**

– ცხადია, პირველ რიგში უნდა ვახსენო ჩვენ მიერ გამოცემული ის სახელმძღვანელოები, რომლებსაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს გრიფი აქვთ მინიჭებული და რომლებიც დღესაც წარმატებით გამოიყენება საქართველოს სკოლებში. ამ წიგნებს, როგორც იცით, ჩვენ აღარ ვბეჭდავთ – მათ სახელმწიფო ბეჭდავს და უფასოდ გადასცემს მოსწავლეებს. რაც შეეხება დამხმარე სასკოლო მასალებს, მათ რამდენიმე კატეგორიად დავყოფდი: **დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისათვის განკუთვნილი სახელმძღვანელოები** (საატესტატო გამოცდებისთვის), ე.წ. **სააბიტურო სახელმძღვანელოები** (ეროვნული გამოცდებისთვის) და **სასწავლო თვალსაჩინოებები** (რომელთა გამოცემა სულ ახლახან დავიწყეთ, მათ შესახებ უფრო დაწვრილებით ქვემოთ მოგახსენებთ). როგორც იცით, საბუნებისმეტყველო საგნებში საატესტატო გამოცდები XI კლასის ბოლოს ბარდება, დანარჩენ საგნებში კი – XII კლასის დამთავრებისას. ჩვენ გვაქვს გამოცემული საატესტატო სახელმძღვანელოები ორივე კლასისთვის: ქიმიის, ფიზიკის, ბიოლოგიის, გეოგრაფიის, ისტორიის. გამოვეცით „ვეფხისტყაოსნის“ ტექსტი თანმდევი განმარტებებითა და კომენტარებით, ქართული აგიოგრაფიული პროზის ნიმუშები ასევე თანმდევი განმარტებებით, რომლებიც დიდ დახმარებას გაუწევს როგორც დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებსა და აბიტურიენტებს, ისე საბაზო და საშუალო სკოლის მოსწავლეებს (თუმცა მათი გამოყენება თავისუფლად შეუძლიათ პედაგოგებსაც, განსაკუთრებით მათ, ვისაც სასერტიფიკაციო გამოცდების ჩაბარება აქვთ დაგეგმილი). გარდა ამისა, აბიტურიენტებს ვთავაზობთ ისტორიის ტესტების კრებულს ეროვნული გამოცდის ფორმატში, რომელიც მთელ პროგრამას მოიცავს, ბიოლოგიის ტესტების კრებულს, ასევე ეროვნული გამოცდის ფორმატში, მათემატიკის ცნობარს. მინდა ხაზი გავუსვა იმ გარემოებას, რომ დასახელებული წიგნები, ძირითადად, ჩვენივე გრიფირებული სახელმძღვანელოების ავტორებმა – გამოცდილმა პედაგოგებმა და მეცნიერებმა – შექმნეს. საატესტატო გამოცდებისათვის განკუთვნილ წიგნებს ყოველწლიურად ვაახლებთ და ვავსებთ იმ ცვლილებების შესაბამისად, რაც გამოცდების საგნობრივ პროგრამებში შედის. მიმდინარე სასწავლო წელსაც გადავამუშავეთ ფიზიკის, ქიმიისა და გეოგრაფიის სახელმძღვანელოები, რადგან საგამოცდო პროგრამებს გარკვეული საკითხები დაემატა.

რაც შეეხება სიახლეებს, ახლახან გამოვეცით ბიოლოგიის დამხმარე სახელმძღვანელო აბიტურიენტებისათვის ორ ნაწილად. ეს ორიგინალური სახელმძღვანელო ეროვნული გამოცდების ბიოლოგიის საგნობრივი პროგრამის მიხედვით არის შედგენილი და ყველა საპროგრამო საკითხს მოიცავს. საკითხები დეტალურად არის განხილული. მასალის ათვისების ხელშესაწყობად წიგნი ფერადი ილუსტრაციებით არის გაფორმებული. აქვეა კითხვები, სავარჯიშოები და ამოცანები პასუხებითურთ.

**– და რას ეტყვით მოსწავლეებს, რატომ უნდა შეიძინონ მათ ეს წიგნები? გარდა ამისა, იქნებ რამდენიმე სიტყვით გვითხრათ, მიმდინარე პერიოდში რა სიახლეს გვთავაზობთ საგანმანათლებლო და მხატვრული ლიტერატურის სფეროებში, ან რა გაქვთ განსაზღვრული სამომავლოდ**

– კიდევ ერთ სიახლეს ვთავაზობთ დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებს. ეს სიახლე სწორედ ზემოთ ხსენებულ სასწავლო თვალსაჩინოებებს ეხება: გამოვეცით პლაკატი „ფიზიკა ფორმულებში“ (საატესტატო გამოცდისთვის). სტანდარტული ზომის პლაკატზე ფიზიკის მთელი სასკოლო პროგრამა ფორმულების სახით არის წარმოდგენილი, რაც მნიშვნელოვნად აადვილებს ამ ფორმულების დამახსოვრებას. რაც მთავარია, ეს პლაკატი სახლში გამოსაყენებლადაც მოხერხებულია და სკოლაშიც. ვფიქრობ, ნაწილობრივ თქვენს იმ კითხვასაც გავეცი პასუხი, თუ რატომ უნდა შეიძინონ მოსწავლეებმა ეს დამხმარე მასალები. ჩვენი დამხმარე სახელმძღვანელოები კომპაქტური და ლაკონიურია, მარტივი და გასაგები ენითაა დაწერილი. ცხადია, ამ ტიპის სახელმძღვანელოები ბევრად უფრო მოსახერხებელია გამოცდებისთვის მომზადებისას, ვიდრე ყველა იმ სახელმძღვანელოს გამოყენება (როგორც წესი, 4-5 კლასის), რომლებშიც პროგრამული საკითხებია გაფანტული, რადგან მთელი პროგრამა ერთ წიგნშია თავმოყრილი.

მინდა კიდევ ერთ საკითხს შევეხო: გასული სასწავლო წლიდან მოყოლებული, გამოვცემთ ფიზიკისა და ქიმიის ამოცანათა კრებულებს საბაზო და საშუალო სკოლისათვის, რაც ძალიან მნიშვნელოვნად მიგვაჩნია, რადგან ქართულ ენაზე გამოცემული ამ ტიპის კრებულებით ჩვენი სასკოლო წიგნების ბაზარი განებივრებული არ არის. წელს დავასრულეთ ამ სერიის გამოშვება: ორივე საგანში გვაქვს კრებულები VII-XI კლასებისათვის, რასაც სიამოვნებით ვთავაზობთ ყველას, ვისაც ფიზიკისა და ქიმიის შესწავლა სურს.

საგანმანათლებლო სფეროში მოღვაწეობასთან ერთად, როგორც იცით, „დიოგენე“ აქტიურად გამოსცემს მხატვრულ ლიტერატურას – როგორც ქართველი ავტორების ორიგინალურ ნაწარმოებებს, ისე თარგმანებს. მათ შორისაა სერია „ამერიკელები“ და „დიოგენეს ბიბლიოთეკა“, ასევე საბავშვო და საყმაწვილო წიგნების თარგმანები. ამ სერიებში იხილავთ როგორც თანამედროვე მკითხველისთვის ნაცნობი ავტორების, ისე ჯერჯერობით ჩვენთვის ნაკლებად ცნობილი, მაგრამ გამორჩეული და უცხოეთში აღიარებული ავტორების ნაწარმოებებს.

**– რამდენად ხელმისაწვდომია თქვენი წიგნები (როგორც საგანმანათლებლო, ისე მხატვრული) მკითხველთა ფართო აუდიტორიისათვის, როგორც ღირებულების, ისე დისტრიბუციის თვალსაზრისით? მაგალითად, რეგიონებში როგორ შეუძლიათ მათი შეძენა?**

– ამ წიგნების შეძენა რეგიონებში წიგნის მაღაზიებში შეუძლიათ. ჩვენ საქართველოს ყველა კუთხეში არსებულ წიგნის მაღაზიებთან ვთანამშრომლობთ. გარდა ამისა, რაიონებში ე.წ. რეგიონული წარმომადგენლები გვყავს და წიგნების შეძენა მათი საშუალებითაც შეიძლება. აღსანიშნავია, რომ „რეგიონული წარმომადგენლების“ პროექტი მაისიდან ავამუშავეთ და ის დღემდე წარმატებით ხორციელდება. ასე რომ, წიგნების დისტრიბუციის თვალსაზრისით პრობლემა აღარ გვაქვს.

რაც შეეხება წიგნების ხელმისაწვდომობას ღირებულების თვალსაზრისით, მინდა გითხრათ, რომ აღნიშნული პროექტის ფარგლებში ყველა მსურველს შეუძლია მიიღოს წიგნები ადგილზე მნიშვნელოვანი (20-დან 80%-მდე) ფასდაკლებით. ეს ფასდაკლება ვრცელდება როგორც დამხმარე სახელმძღვანელოებზე, ისე მხატვრულ ლიტერატურაზე, მათ შორის, ბესტსელერებზე და უახლეს გამოცემებზეც.

„დიოგენე“ ყოველთვის ცდილობს, თავის მკითხველს ხელმისაწვდომი ფასები შესთავაზოს. ვფიქრობ, სწორედ ამაზე მეტყველებს ზემოთ ხსენებული და სხვა მრავალი აქცია, რომელსაც ჩვენ ხშირად ვაწყობთ.

დასასრულ, თქვენი გაზეთის საშუალებით მინდა ვაცნობო ყველას, ვინც „რეგიონული წარმომადგენლების პროექტით“ დაინტერესდება, რომ ნებისმიერ საკითხზე, რომელიც ჩვენთან თანამშრომლობას ან წიგნების შეძენას შეეხება, შეუძლიათ მოგვმართონ მისამართზე: თბილისი, აფაქიძის ქ.№9; ასევე დაგვიკავშირდნენ ტელეფონით: (+99532) 2213321; 595342282 ან ელექტრონული ფოსტით: v.shikhashvili@diogene.ge

*ესაუბრა* ლალი ჯელაძე


*მასწავლებლის ბიბლიოთეკა*

ასოციაცია „ზეკარმა“ სპეციალურად სკოლებისა და მასწავლებლებისთვის შექმნა სერია „მასწავლებლის ბიბლიოთეკა“. სერიის ფარგლებში მომზადებული და გამოშვებული წიგნები და პორტფოლიოები დიდი პოპულარობით სარგებლობს, რადგან თითოეული მათგანი მასწავლებელს აწვდის საჭირო ინფორმაციას, უღრმავებს ცოდნას და უიოლებს მუშაობას.

რადგან განათლების სფეროში მიმდინარე ცვლილებებმა, მასწავლებლის ახალმა პროფესიული განვითარების სტანდარტმა, ოცდამეერთე საუკუნის ზოგადმა პრიორიტეტებმა, ევროინტეგრაციისკენ სწრაფვამ სკოლა და მასწავლებელი მრავალი გამოწვევის წინაშე დააყენა, მნიშვნელოვანია, მასწავლებელი მუდმივად ზრუნავდეს საკუთარ პროფესიულ განვითარებაზე. ამასთან მნიშვნელოვანია, მასწავლებელს მიეწოდოს ისეთი რესურსები, რომლებიც დაეხმარება ეფექტურ მუშაობაში. ასოციაცია „ზეკარის“ მიერ მომზადებული და გამოცემული წიგნები და პორტფოლიოები მნიშვნელოვანი შენაძენია როგორც მასწავლებლისთვის, ასევე სკოლის ბიბლიოთეკებისთვის.




3 ლარი

**მასწავლებლის სამუშაო რვეული**

**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:
1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.




5.50 ლარი

**მასწავლებლის კალენდარი**

2014-2015 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.




6 ლარი

**დამრიგებლის პორტფოლიო**

**დამრიგებლის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს დამრიგებელს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმის მეექვსე მუხლით განსაზღვრული საქმიანობები.

გარდა შესავსები სქემებისა და ცხრილებისა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კლასის დამრიგებელს პორტფოლიოს წარმოებაში და დამრიგებლის საქმიანობის განხორციელებაში.




**ინტერაქტიური მეთოდების კრებული**

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

5.50 ლარი




**მნიშვნელოვანი შეკითხვები პასუხებით**

**საინფორმაციო გზამკვლევი** აგებულია კითხვა-პასუხის კონცეფციაზე. მასში განხილულია მნიშვნელოვანი პრაქტიკული საკითხები: სწავლების, შეფასების, კომუნიკაციის, მოტივაციის, სასკოლო კონფლიქტების, სწავლის თეორიების და სასწავლო გარემოს აქტუალურ საკითხებზე. წიგნი დაეხმარება მასწავლებლებს, პედაგოგიური ფაკულტეტის სტუდენტებს.

3 ლარი




**კათედრის გამგის პორტფოლიო**

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

6 ლარი

**შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით:**
**599 88 00 73, 295 80 23 – „ახალი განათლების“ რედაქცია**

კონვენცია – 25

# კითხვა, ანუ სიყვარული ბრძანებითი კილოს გარეშე

ლალი ჯელაძე



5 დეკემბერს, მწერალთა სახლში, UNICEF-ის ორგანიზებით, საჯარო დისკუსიამ – „მწერლები უკეთესი განათლებისათვის" განათლების გულშემატკივარი მწერლები და ის ადამიანები გააერთიანა, ვისაც აღელვებს ეს პრობლემა. შეხვედრა ბავშვის უფლებათა კონვენციის 25-ე წლისთავს მიეძღვნა, რომელიც, 2014 წლის ნოემბერში, საერთაშორისო საზოგადოებამ აღნიშნა. კონვენციის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ნაწილი სწორედ ბავშვთა განათლებაა, თემა მით უფრო აქტუალური ხდება ჩვენს ქვეყანაში, რადგანაც, კვლევების თანახმად, საქართველოში 15 წლის ასაკის მოსწავლეთა ორი მესამედი, ანუ 62% ვერ აკმაყოფილებს საერთაშორისო სტანდარტებს წიგნიერებაში, მათემატიკასა და საბუნებისმეტყველო საგნებში.

მწერალთა სახლში გამართული დისკუსია სწორედ ამ პრობლემების ირგვლივ წარიმართა – კონრეტულად რა როლი ეკისრება ლიტერატურას, მწერლობას და კონკრეტულ მწერლებს განათლების სექტორსა თუ სასწავლო პროცესში, რა და როგორ შეიძლება გააკეთოს მწერლობამ და ლიტერატურამ ისე, რომ მეტ-ნაკლებად გადაილახოს სწავლების არაკვალიფიციური სტრატეგია და არასათანადო მეთოდები, რომელიც, ხშირ შემთხვევაში, უკურეაქციას და ძალადობრივ ხასიათს იძენს. ბრძანებით „შეყვარება" თავშივე განწირულია. ხშირად „არაწიგნიერი თაობის" არგუმენტად ეპოქა სახელდება, როცა ტექნოლოგიებმა შთანთქა წიგნის კითხვის კულტურა და მოზღვავებული ინფორმაციის იოლად მოპოვების გზებმა დაჯაბნა წიგნი და მისი კითხვით მიღებული საოცარი სიამოვნება. თუმცა, მე-18 საუკუნეში, როცა ტელევიზორი და კომპიუტერი არ არსებობდა, მწერალმა და ფილოსოფოსმა ჟან-ჟაკ რუსომ კითხვას ის „მათრახი" უწოდა, „რომელსაც ბავშვს ხშირად გადაუჭერენ ხოლმე. მას ხომ, ჩვენი აზრით, კითხვის მეტი არაფერი ევალება".

სად გადის წიგნიერების გზა? ეს კითხვა დისკუსიის მთავარი აქცენტი იყო, რომელშიც მონაწილეობა მიიღეს მწერლებმა **ანა კორძაია-სამადაშვილმა** და **დიანა ანფიმიადმა**. მწერლები საუბრობენ საბავშვო ლიტერატურის ნაკლებობასა და იმ პრობლემებზე, რომლებსაც ბავშვები სკოლაში ლიტერატურის სწავლის დროს აწყდებიან.

## პრობლემების ლიტერატურით მოგვარება

**დიანა ანფიმიადი:** პრობლემა და საკითხი, რომელზე სასაუბროდაც შევიკრიბეთ, ძალიან მნიშვნელოვანია, თუ ყველაზე მნიშვნელოვანი არა. ამ საკითხზე, როგორც პედაგოგს, მაქვს გამოცდილება. ჩემი შვილი ჯერ პატარაა და, აქედან გამომდინარე, რატომ არ კითხულობს ან როგორი მკითხველი იქნება, ეს საკითხი ჯერ არ დგას. თუმცა, როგორც მასწავლებელს, ძალიან ბევრი რამის თქმა შემიძლია. მასწავლებელი, ტექსტების, დავალებების მიღმა ძალიან ბევრ რამეს ხედავს, მათ შორის, პრობლემებს, რომლებიც ბავშვებს ხშირად აქვთ. ეს ხშირად მშობლებთან დამოკიდებულების პრობლემებია ან სტრესი, რაც ბევრ რამეზე აისახება, მაგალითად, მათ საშინაო დავალებებზე. ერთი ასეთი შემთხვევა მქონდა: მყავდა მეოთხეკლასელი მოსწავლე, ცოტა მორცხვი და ცოტა ნერვიულიც. გარდა იმისა, რომ ჰქონდა კითხვით უნარებში ჩამორჩენა, პრობლემები ჰქონდა წერით უნარებშიც. ყურადღება მიიქცია მისმა რვეულმა და კალიგრაფიამ. ის წერდა სხვადასხვა ზომის ასოებს, შეეძლო ერთი ასო ერთ გვერდზე დაეწერა, კალამს ისე მაგრად აჭერდა, რომ ზოგ ადგილზე ფურცელი იყო დაზიანებული. ვხვდებოდი, რომ რაღაც სერიოზული პრობლემები ჰქონდა. ერთ დღეს, გაკვეთილზე, ინანიშვილის ტექსტს ვკითხულობდი, მის გვერდით მჯდომმა ბიჭმა იცელქა და მას კალამი წაართვა. დღემდე არ ამომდის თვალიდან მისი რეაქცია – ყელში ჩააფრინდა ბიჭს და ყვიროდა „თავი დამანებე". როგორც იქნა ბავშვები გავაშველე და სიტუაცია დაწყნარდა. შემდეგ ბავშვის ბებიისგან ვიგებ, რომ მას დიდი ტრაგედია აქვს გადატანილი – საკუთარი თვალით ნახა სასტიკი ძალადობის სცენა, როგორ მოკლა მამამ დედა. ეს შემთხვევა იმიტომ მოვყევი, რომ ასეთი ისტორიის მქონე ბავშვებთან კითხვის უნარებზე საუბარი, დამეთანხმებით, რთულია. ყველაფრის სათავე განათლებაშია, ამიტომ, როგორც მასწავლებელი, გთხოვთ ყველას – მწერლებს, ახალგაზრდებს, განათლებით დაინტერესებულ ადამიანებს – ერთად ვიმსჯელოთ, რეალურად რა პრობლემების წინაშე ვართ. ყველამ ვიცით, როგორ დასცინიან ბავშვები ერთმანეთს – შე მსუქანო და ა.შ. ამიტომ გადავწყვიტე ამ პრობლემისთვის კვირეული მიმეძღვნა – დაცინვის კვირეული. დავიწყე ლიტერატურაში ტექსტების მოძიება, რომელიც ბულინგის პრობლემას შეეხებოდა. ჩემი მოსწავლეებისთვის ცოტა რთული და გაუგებარი იყო ოსკარ უაილდის „ვარსკვლავბიჭუნა"და იქიდან გამომდინარე, რომ სხვა ასაკობრივი კატეგორია იყო, ძალიან მსუბუქად მოვუყევი მათ ნაწარმოები. ქართულ ლიტერატურაში უბრალოდ ვერ ვიპოვე ტექსტი, რომელიც შემეძლო გამომეყენებინა ასეთი შემთხვევისთვის. ამიტომ, ვფიქრობ, ძალიან მნიშვნელოვანია ასეთი ტიპის ტექსტების შექმნა. აქ საბავშვო მწერლები არიან და მინდა ყველამ ერთად ვილაპარაკოთ ამ პრობლემაზეც – როგორი ტექსტები მოვძებნოთ, როგორ უნდა მოხდეს წიგნების ადაპტირება, როგორ გამოვცეთ ისეთი წიგნები, რომ ჩვენმა შვილებმა იკითხონ და სცადონ სხვა პრობლემების სწორედ ლიტერატურით მოგვარება."

## არ ახსოვთ, როგორია, როდესაც სამყაროს ქვემოდან ზემოთ უყურებ

მწერალმა **ანა კორძაია-სამადაშვილმა** საუბარი თავისი ერთ-ერთი თარგმანით დაიწყო და პატარების მხარდაჭერა სწორედ ამ წიგნით გამოხატა: „რამდენიმე წლის წინ გამიმართლა და ვთარგმნე შესანიშნავი წიგნი – კორნელია ფუკეს „ქურდების მბრძანებელი". არ ვიცი, დამსწრე საზოგადოებიდან ვინმე გადაეყარა თუ არა ამ ნაწარმოებს. მინდა გითხრათ, რომ ერთ-ერთი კეთილი წიგნია, რომელიც ოდესმე წამიკითხავს. „ქურდების მბრძანებელი" შემდეგი სენტენციებით იწყება – უფროსებს არ ახსოვთ როგორია, როცა ხარ ბავშვი. მართალია, ხშირად ყვებიან თავიანთ ბავშობაზე, მაგრამ დარწმუნებული ვარ, ტყუიან – წერს კორნელია ფუკე. მათ არ ახსოვთ, როგორია, როდესაც სამყაროს ქვემოდან ზემოთ უყურებ; არ ახსოვთ, როგორი დიდი ძალისხმევის შედეგია სკამზე ასვლა? არ ახსოვთ როგორია, როცა არაფერი არ იცი და ხარ პატარა, გარშემო კი ყველამ ყველაფერი იცის და ვისაც არ დაეზარება ყველაფერს გასწავლის – მე მგონი, არ ტყუის ეს პატიოსანი ქალბატონი! მიმაჩნია, რომ ყველაზე მეტად დასაცავი, ყველაზე მეტად საწყალობელი (თუ შეიძლება შეურაცხყოფის გარეშე) ჯგუფი ადამიანებისა არის ის , რასაც ბავშვებს ვუწოდებთ. მე არ ვიცი როდის იწყება და მთავრდება ბავშვობა, ეს ძნელი სათქმელია, უბრალოდ, როდესაც ხარ პატარა, შესაბამისად, სამყაროც ბევრად უფრო პატარაა და ბევრად ნაკლებ გამოსავალს ხედავ იქიდან, რომ უწყვეტ რეჟიმში არ ხდებოდეს ის, რაც უნდათ სხვებს და არ გინდა შენ. მე მაინც ვფიქრობ, რომ პატარა ადამიანებს საბოლოო ანგარიშში მაინც არავინ არაფერს ეკითხება".

## წითელი ჩემოდნიანი გოგონას ისტორია

**ანა კორძაია-სამადაშვილი**: „ეს ისტორია ჩემმა მეგობარმა ქალმა მომიყვა, რომელიც ერთ-ერთი მდიდარი კლასიკოსის შვილიშვილია. ბაბუამისი, როგორც თვითონ ყვებოდა, იყო ალკოჰოლიკი და დიდი პოეტი. ბაბუას მისთვის არ ეცალა. მას ჰყავდა მშვენიერი დედა, იმდენად ლამაზი, რომ ახლაც, როცა მახსენდება, არ მჯერა, რომ ღმერთი ასეთ ლამაზ ქალებს აჩენდა. ეს მშვენიერი ქალი 17 წლის ასაკში გახდა დედა, იმიტომ, რომ თავდავიწყებით შეუყვარდა მამა. მაგრამ მამა გარდაიცვალა და 19 წლის ასაკში ის დარჩა შვილთან ერთად, რომელიც მას არ აინტერესებდა, აბსოლუტურად, არანაირი კავშირი არ ჰქონდა მასთან. არა იმიტომ, რომ საზიზღარი დედა იყო ან ბოროტი ადამიანი, არა, უბრალოდ, პატარა ადამიანი აღმოჩნდა მარტოკა იმავე პირობებში, როგორშიც უფროსები ცხოვრობდნენ, უბრალოდ, უფრო დაჩაგრული. იმიტომ, რომ ზემოთ უყურებდა ყველას და ყველაფერს. პასუხად კითხვაზე – გცემდნენ? მიპასუხა – არა, რა სისულელეა. გიყვიროდნენ? – არა, არასოდეს. რამეს გიშავებდნენ? – არა, არაფერს. პრობლემა ის იყო, რომ მას არ ექცეოდნენ, როგორც ბავშვს. ის, უბრალოდ, მონაწილე იყო თანაცხოვრების. ის მომიყვა ისტორიას, ვფიქრობ, ოდესმე, როცა მეტი დრო მექნება და წერას უკეთ ვისწავლი, აუცილებლად დავწერ ამბავს იმისა, თუ როგორ გადაწყვიტა ერთმა პატარა გოგომ ერთი ევროპული ქვეყნის დედაქალაქში გაქცევა. კითხვაზე, სად მირბოდა, მან მიპასუხა, რომ არ იცოდა, მაგრამ ზუსტად იცოდა, რომ უნდა წასულიყო. ის იყო, სავარაუდოდ, 2 წლინახევრის ან 3 წლის. მას ჰქონდა ლამაზი წითელი „პლასტმასის ჩემოდანი", რომელშიც ჩააწყო ნივთები, რაც ყველაზე ძვირფასად მიაჩნდა და წავიდა თავის პატარა ჩემოდნით სახლიდან ისე, რომ კაცს არ უკითხავს, სად ჯანდაბაში მიდის, იმიტომ, რომ წესი იყო ასეთი. წავიდა და რაღაც ეტაპზე, ვიდრე მოედანზე გავიდოდა, სადაც მთავარი ტაძარი დგას, აღმოაჩინა, რომ აცვია ჩუსტები – უსიამოვნო ამბავია, რადგან ზუსტად იცოდა, რკინის ქალამნები უნდა სცმოდა... ჩამოჯდა. ვკითხე, რატომ ჩამოჯექი მიპასუხა, ეს მოედანი იმდენად დიდი იყო, რომ მივხვდი მოედნის გადაკვეთა მარტო არ შემეძლო, უსასრულოდ მეჩვენებოდაო. პრინციპში, ცოდო ხარ, როცა ჩუსტები გაცვია და თან პატარა ხარ და თან არავის ახსოვს, როგორია როცა სამყაროს ქვემოდან ზემოთ უყურებ...

## უნდა კი მას, წაიკითხოს „წიქარა"?

**ანა კორძაია-სამადაშვილი:** როცა წიგნიერებაზე გვაქვს საუბარი, ამასაც ვფიქრობ ხოლმე – უნდა კი მას წაიკითხოს „წიქარა"? მე პათოლოგიურად მეშინოდა ქართული ხალხური ზღაპრების – სრულიად არაბუნებრივი შიშით. ვტიროდი ბოხი ხმით. მხოლოდ არ ვტიროდი ხალხში, იმიტომ, რომ ვიცოდი ეს ცუდი ტონი იყო და წესი იყო უნდა მომესმინა, როცა მიკითხავდნენ. უბრალოდ, როცა საქმე მიდგებოდა იმ ადგილზე, სადაც სამართებელი უნდა გადააგდონ, რომ კლდეები აღიმართოს, სიტყვა სამართებელზე ოფლი მასხამდა და თმა ყალყზე მიდგებოდა, მაგრამ ამას ხომ არ ვიტყოდი.

## როგორი უნდა იყოს წიგნი, რომლის გამოც მატარებელი სიკვდილის ბანაკში აღარ წავა

**ანა კორძაია-სამადაშვილი:** „მინდა გიამბოთ ისტორია ერთი წიგნისა, რომელიც ზუსტად ვიცი, რატომ შემიყვარდა გიჟივით. დანამდვილებით ვიცი, როდესაც ადამიანი არის 8 წლის, „აგურივით" წიგნის კითხვა ნამდვილად არ უხარია. გარწმუნებთ, იმიტომ, რომ მას ბევრი სხვა გასართობი აქვს. მაგრამ ეს იყო წიგნი, რომელიც წავიკითხე იმიტომ, რომ ერთ მშვენიერ დღეს მამაჩემს არ დაეზარა და მიამბო სრულიად ჯადოსნური ისტორია და ეს ჯადოსნური ისტორია იყო ამბავი ერთი კაცისა. მე საბჭოთა ბავშვი ვარ და, შესაბამისად, კარგად ვიცოდი რას ნიშნავდა მესამე რაიხი და რას ნიშნავდა ვარშავის გეტო (ეს ბევრად უკეთ ვიცოდი, ვიდრე ბევრი სხვა რამ) და ვიცოდი, რომ იყო ერთი სახლი, რომელსაც ერქვა „მწვანე სახლი" და იქ იყვნენ უპატრონო ბავშვები – ებრაელ ობოლთა თავშესაფარი. იქ იყო ერთი ექიმი, რომელიც კარგად ხვდებოდა, რომ ამ ბავშვების სიცოცხლეს არამც თუ საფრთხე ემუქრებოდა, არამედ ყველაფერი დამთავრებული იყო. ერთია, რომ ის ექიმი იყო და მეორე, რომ კეთილი ჯადოქარი, რომელმაც ათი მცნება დაწერა მშობლებისთვის. ეს უკეთილშობილესი ადამიანი იანუშ კორჩაკია. ექიმი ყოველ საღამოს ბავშვებს ამბავს უყვებოდა გაგრძელებებით, იწყებდა და არასოდეს ამთავრებდა. ეს საღამოები ყველას უყვარდა. არა მგონია ვარშავის გეტოში ტკბილად ყოფილიყვნენ ბავშვები, მაგრამ როცა პატარა ხარ და იანუშ კორჩაკი ამბებს გიყვება, ეს საოცარი შეგრძნება იქნება. მერე ვიცოდი ამბავი იმის შესახებაც, რომ ეს ბავშვები უნდა წაეყვანათ სიკვდილის ბანაკში და ისიც ვიცოდი, რას ნიშნავდა სიკვდილის ბანაკი. მოგეხსენებათ საბჭოთა ბავშვის ტრავმირებული ფსიქიკა. როდესაც ბავშვები მიჰყავდათ სიკვდილის ბანაკში ისეთი რამ მოხდა, რაც, ალბათ, კაცობრიობის ისტორიაში არავის უნახავს – მწვანე ალმის ფრიალით „მწვანე სახლის" ბავშვები მიდიოდნენ და თავიანთი სკოლის ჰიმნს მღეროდნენ, მათ წინ ამ ქვეყანაზე ყველაზე მაგარი ბიჭი, ყველაზე კეთილი ექიმი – იანუშ კორჩაკი – მიუძღოდათ. ექიმმა არ უთხრა ბავშვებს, რომ სიკვდილის ბანაკში მიდიოდნენ, უთხრა, რომ ქალაქგარეთ უნდა წასულიყვნენ და იქ მაგარ ამბებს მოუყვებოდა. ბავშვები მატარებელში ავიდნენ, იქ ასეთი უცნაური რამ მოხდა – ზედამხედველი, რომელიც კაციჭამიაა და ბავშვებს ალიონზე უნდა ჭამდეს, დაჟინებით უყურებდა კეთილ ექიმს და ჰკითხა: „მეფე მათიუშ პირველი" თქვენ დაწერეთო? ექიმმა უპასუხა, დიახო. რა მაგარი წიგნია, ვგიჟდები მათიუშ პირველზეო – ამბობს ზედამხედველი. მართლაო, პასუხობს ექიმი – და ეს მატარებელი აღარ წავაო? – არა, მატარებელი მაინც წავა, მაგრამ თქვენ დარჩებითო – პასუხობს ზედამხედველი. ექიმის პასუხი კი ასეთია: ძალიან ცუდად გცოდნიათ კითხვაო. მამამ აქ შეწყვიტა თხრობა და წიგნი არ მომცა. მერე სულ ვფიქრობდი, როგორი უნდა იყოს წიგნი, რომლის გამოც ავტორმა იფიქროს, რომ მატარებელი სიკვდილის ბანაკში აღარ წავიდოდა. აი, ასე წავიკითხე უზარმაზარი წიგნი – „მე მათიუშ პირველი". ამით რისი თქმა მინდა იცით? როდესაც ლაპარაკია იმაზე, ბავშვები რატომ არ კითხულობენ ან რატომ კითხულობენ, პასუხი ერთი მაქვს – ალბათ, მათ არასოდეს არავინ უყვებათ, რომ სინამდვილეში ეს იმისთვის კი არ დაწერა ვიღაცამ, რომ შენ იწვალო და ფეხბურთი აღარ ითამაშო, არამედ იმისთვის, ძალიან მაგარი ბიჭი იყო."

## ბავშვს თუ ეტყვი, არ გიყვარდეს, ის მთელი ცხოვრება ეყვარება

**დიანა ანფიმიადი**: „ანა, შენ მთხრობელი იქნები, მე მასწავლებელი. კორჩაკზე და ზოგადად, ბავშვების წიგნებთან დამოკიდებულებაზე ისეთი გამოცდილება მაქვს, რომელმაც თავის დროზე ძალიან დამაფიქრა. მასწავლებლების კვირეული მოვაწყვეთ. იანუშ კორჩაკი, გარდა იმისა, რომ კარგი ექიმი იყო, მასწავლებელიც ხომ იყო, ამიტომ მასწავლებლების კვირეულის ერთ-ერთი მოქმედი გმირი სწორედ ის იყო. ჩემი ერთი მოსწავლე ადგა და მითხრა, რომ მე ძალიან მიყვარს ჰიტლერიო და თქვენ არასწორად ყვებით ყველაფერსო. ის მაგარი

→ 4

კონვენცია – 25

# კითხვა, ანუ სიყვარული ბრძანებითი კილოს გარეშე

კაცი იყო, თავის შვილები და ქვეყანა უყვარდაო. ამან სერიოზულად დამაფიქრა. ბავშვს თუ იმას ეტყვი, რომ არ გიყვარდეს, ის მთელი ცხოვრება ეყვარება, ამიტომ ჩვენ პროგრამა შევცვალეთ და „მეფე მათიუშ პირველთან ერთად“ კვირეულზე სხვა წიგნებიც წავუკითხეთ – „ანა ფრანკის დღიური“, კორჩაკის ბიოგრაფია და სხვ. თანდათანობით წიგნებმა მოახერხა ის, რომ ჰიტლერის მოყვარულ ბავშვს აზრი შეაცვლევინა და მოსწავლემ, ერთი კვირის შემდეგ, ჩუმად მითხრა: მასწავლებელო, ჰიტლერი არც ისე მყვარებია, უბრალოდ, სახლში მეუბნებოდნენ, რომ ყოველთვის სხვებისგან განსხვავებული აზრი უნდა გქონდესო.“

## წიგნიერებასთან დაკავშირებული პრობლემების საბოლოო ადრესატი

შეხვედრაზე ძალიან საინტერესო სტატისტიკა გაგვაცნეს – საქართველოს ბიბლიოთეკებში მოსახლეობის მხოლოდ 0,8 პროცენტია რეგისტრირებული და აქედან, წელიწადში ერთხელ, ბიბლიოთეკას მხოლოდ ნახევარი სტუმრობს, მაშინ როცა, მაგალითად, ფინეთში მოსახლეობის 75 პროცენტი თვეში ერთხელ მიდის ბიბლიოთეკაში. ჩვენი სახელმწიფო, ამ მიმართულებით, წელიწადში 80 თეთრს ხარჯავს თითოეულ ადამიანზე, ფინეთი კი – 150 ევროს, ბრიტანეთი – 350 ფუნტს და ა.შ. საქართველოში დაახლოებით 40 გამომცემლობაა – ეს არის ჩვენი მაქსიმალური რესურსი, სლოვენიაში კი, სადაც მილიონ ნახევარი მოსახლეა – 2000 გამომცემელია, ლიტვაში – 800, ლატვიაში – 14000. წიგნიერებასთან დაკავშირებული ნებისმიერი პრობლემა კი საბოლოოდ ერთ ადრესატთან – სახელმწიფოსთან და მის მიდგომებთან იყრის თავს. წიგნიერების პრობლემა იმაზე რთულად არის ქვეყანაში, ვიდრე ეს ერთი შეხედვით ჩანს. არადა, ამ პრობლემას კიდევ ბევრი პრობლემა მოაქვს, ყველაფერი კი, ჯამში, განათლების პრობლემაზე აისახება. დისკუსიის მონაწილეები მის დასაძლევად ძალისხმევის გაერთიანებასა და კომპლექსურ მიდგომებზე შეთანხმდნენ. 11 სექტემბერს მსოფილიოში წერა-კითხვის დღე აღინიშნება. გაეროს ეგიდით, ამ მიმართულებით, არაერთი პროგრამა და ღონისძიება ხორციელდება. არსებობს სტანდარტი, რას ნიშნავს წერა-კითხვის ცოდნა. სტანდარტის შესაბამისად. წერა-კითხვის ცოდნა ნიშნავს იმას, რომ ადამიანმა შეძლოს იმ დღეს თავს გადახდენილი ამბის უშეცდომოდ დაწერა ნახევარ გვერდზე. ერთ-ერთი პატარა კვლევის (ექსპერიმენტის) თანახმად, საქართველოში მდგომარეობა ასეთია: თბილისის ქუჩებიდან მოწვეული 50 ადამიანიდან ვერც ერთმა ვერ შეძლო ამ დავალების შესრულება. დასკვნა, რომელიც ერთ-ერთმა გამომსვლელმა გააკეთა – ერთი და იგივე მდგომარეობაა საზოგადოების ყველა ფენაში, ყველა სტრუქტურაში, ამიტომაც როგორი ძალისხმევაც არ უნდა გამოიჩინოს გამომცემლობებმა, ენჯეოებმა, მწერლებმა, ნულოვან ეფექტს მოგვცემს და ჯამური ვექტორი არანაირ შედეგზე არ გაგვიყვანს, თუ სახელმწიფო არ ჩაერია და თანაც საფუძვლიანად. ეს ყველაფერი კი კოლოსალურ კრახამდე მიიყვანს ქვეყანას.

## ლიტერატურის ყველაზე დიდი სიცარიელე და განათლების თანმდევი ხარვეზები

ერთ-ერთი უმაღლესი სასწავლებლის სტუდენტებს, თავიანთი გემოვნებით, საბავშვო ლიტერატურული ჟურნალის გამოცემა დაევალათ. ამისთვის ლექტორმა ისინი წიგნის ბაზრობაზე მონიტორინგისთვის წაიყვანა – რა იყიდება ქართული საბავშვო ლიტერატურიდან. რესურსი ერთი საცდელი სტუდენტური ჟურნალისთვის, ჟანრული მრავალფეროვნებითა და ნებისმიერი ასაკობრივი კატეგორიის გათვალისწინებით, საკმარისი არ აღმოჩნდა. საბავშვო ლიტერატურის ნაკლებობასთან ერთად, ხარვეზად ისიც დასახელდა, რომ ლიტერატურულ კონკურს „საბას“ დღემდე არ დაემატა ნომინაცია საბავშვო მწერლობისთვის, არ დაემატა იმის გამო, რომ მოთხოვნა არ არის საზოგადოებისგან. აღმოჩნდა, რომ მეტ-ნაკლებად გვაქვს საბავშვო ნაწარმოებები უმცროსი ასაკის კატეგორიისთვის და გვაქვს ლიტერატურა დიდებისთვის, ცარიელია თინეიჯერების ასაკის ნიშა. მოზარდების კატეგორიისთვის ქართული ტექსტების ყველაზე დიდი სიცარიელეა. არ გჯერათ? სცადეთ და ჩამოთვალეთ თინეიჯერებისთვის ქართული ტექსტები. დამერწმუნეთ, ისევე გაგიჭირდებათ, როგორც მე. გარკვეული თხოვნაც იყო მწერლებისადმი, რომ იფიქრონ ამაზე და შექმნან ისეთი ნაწარმოებები, რომლებიც მოზარდების ინტერესებზე იქნება მორგებული და მხოლოდ მათ ენაზე შექმნილი. დისკუსიის დროს აქცენტები გაკეთდა იმაზეც, რომ ლიტერატურის ნაკლებობასთან ერთად, პრობლემებია სკოლაშიც. ყურადღება გამახვილდა სახელმძღვანელოების იმ ხარვეზებზე, რომელიც გენდერულ დისბალანსს გულისხმობს – პერსონაჟი გოგო-ბიჭები. ასევე ინკლუზიური სწავლების მიმართულებითაც – არც ერთ სახელმძღვანელოში განსაკუთრებული საჭიროების მქონე ბავშვის ილუსტრაცია არ არსებობს, მათაც ისევე უნდა შეძლონ იდენტიფიცირება, როგორც დანარჩენებმა. მაგალითად, სახელმძღვანელოს ყდაზე გამოსახულ ფოტოზე, სადაც ბავშვები სკოლისკენ მიდიან, ვერსად იპოვით ეტლიან ბავშვს – ახლის მიღება თითქოს გვინდა, მაგრამ სინამდვილეში გვეშინია. დღევანდელი სკოლა, მიუხედავად იმისა, რომ დამოკიდებულებები შეიცვალა, ჩაკეტილ და შეშინებულ ახალგაზრდებს ზრდის – ასეთი განცხადებებიც გაკეთდა, მაგალითად, დასახელდა ერთ-ერთი პედაგოგის შემთხვევა. როცა ის პირველკლასელებთან შევიდა გაკვეთილზე, პატარები მასწავლებლის მიახლოებისას, თავზე ხელს იფარებდნენ. ეს მათი ბუნებრივად თავდაცვის ინსტინქტი იყო – სამწუხაროდ, ბავშვების უმრავლესობა ფიზიკური ძალადობის ქვეშ იმყოფებოდა; უკეთესი მდგომარეობა არც სტუდენტებთან გვაქვს, 40 სტუდენტი ლექტორს ფეხზე პროტესტის ნიშნად წამოუხტა, ამის მიზეზი წარმართობა და ფოლკლორის თემა გახდა. „უფლის სახელს ამაოდ ამდენჯერ ნუ ახსენებთ!“ – ამ მოთხოვნით ლექტორი იძულებული გახდა, თემა შეეცვალა. სინამდვილეში რეალობა ასეთი მძიმეა. ამის უმთავრესი მიზეზი რომ განათლებაა, ალბათ, ამას შეხსენებაც არ სჭირდება. რა თქმა უნდა, ლიტერატურას დიდწილად შეუძლია შეცვალოს ბევრი რამ, მაგრამ მთავარია, როგორ მივიყვანოთ ეს ბავშვები ლიტერატურამდე. „ეს ყველა ჩვენგანის ვალია, უპირველესად კი განათლების სისტემის“ – ეს ის მთავარი გზავნილია, რომელიც დისკუსიისას გამოიკვეთა.

## კითხვა, ანუ სიყვარული ბრძანებითი კილოს გარეშე

მართალია, დისკუსიაში ეს არავის უხსენებია, მაგრამ მე, პირველ რიგში, არც მეტი და არც ნაკლები, წიგნის კითხვის შესაყვარებელი მეთოდოლოგიის სახელმძღვანელო, ფრანგი მწერლის, დანიელ პენაკის „რომანივით საკითხავი“ გამახსენდა. „კითხვის მათრახის“ ნაცვლად, მათ, ვისაც გულწრფელად აწუხებთ, რატომ არ კითხულობს ახალგაზრდა თაობა წიგნს, მწერალი საუკეთესო გზებს სთავაზობს ნაწარმოებით, რომელიც იმ შეცდომებზეა აგებული, რასაც მშობლები შვილებთან ურთიერთობისას უშვებენ. მწერალი კითხვის სიყვარულს, ზოგადად სიყვარულს ადარებს, რომელიც თუკი მოვიდა, არასდროს გვკითხავს, გვაქვს თუ არა ამის დრო – *„კითხვის დრო არასდროს მქონია, მაგრამ თუ რომანმა დამაინტერესა, ვერაფერი შემიშლის ხელს მის დამთავრებაში“* – წერს ის. კითხვა, ანუ სიყვარული, მხოლოდ ბრძანებითი კილოს გარეშე, არანაირ გამართლებას არ აძლევს წაკითხულის გადამოწმებას, კრიტიკოსობას ან ანალიტიკოსობას, რადგან ფიქრობს, რომ: *„ამით ვითომდა წიგნის უზენაესობას ვაღიარებთ, მის წინაშე ვიხრით ქედს, სინამდვილეში კი უბრალოდ ვამუნჯებთ მას. საკუთარი კომპეტენტურობის ტყვეობაში მოქცეულნი, წიგნის სათქმელს ჩვენი სათქმელით ვანაცვლებთ. იმის მაგივრად, რომ ჩვენი სახით წიგნი ღაღადებდეს, წიგნს ჩვენი ჭკუის გამოსამზეურებელ ასპარეზად ვხდით“*. „წიგნები იმისთვის კი არ იწერება, რომ მათზე ილაპარაკონ, არამედ იმისთვის, რომ წაიკითხონ“. რადგანაც დისკუსია ბავშვის უფლებათა კონვენციას მიეძღვნა, ვფიქრობ, პენაკის რჩევების ჩამონათვალი მკითხველის უფლებების „კონვენციაა“:

**უფლება** – არ წავიკითხოთ. **უფლება** – გამოვტოვოთ გვერდები. **უფლება** – ბოლომდე არ წავიკითხოთ. **უფლება** – ხელახლა წავიკითხოთ. **უფლება** – ვიკითხოთ, რაც გვინდა. **უფლება** – ბოვარიზმის (ტექსტუალური გზით გადამდები დაავადება). **უფლება** – სადაც გვინდა, იქ ვიკითხოთ. **უფლება** – საიდანაც გვინდა, იქიდან დავიწყოთ კითხვა. **უფლება** – ხმამაღლა ვიკითხოთ. **უფლება** – არ ვილაპარაკოთ წაკითხულზე.

დაიცავით ეს უფლებები, თუ გინდათ, რომ შვილები კარგ მკითხველებად გაზარდოთ და, რაც მთავარია, პენაკის უმთავრესი რჩევა არ გამოგრჩეთ – კითხვა ბრძანებითი კილოს გარეშე.

გამოხმაურება

# საინტერესოდ საკითხავი და მეცნიერულად ღირებული

ახლახან საზოგადოებამ მიიღო სრულიად სპეციფიკური ჟანრის წიგნი – **ვახტანგ გასვიანის „განათლების ისტორიიდან აფხაზეთში“** – რომელშიც მკითხველი ერთდროულად აღმოაჩენს როგორც სამეცნიერო მონოგრაფიებისათვის დამახასიათებელ ინფორმაციულ სიუხვეს, წყაროებისა და არგუმენტების სიმრავლეს, მხატვრული ლიტერატურისათვის ნიშანდობლივ პოეტურ სახისმეტყველებასა და ნააზრევს, ასევე პუბლიცისტიკისათვის დამახასიათებელ სტილს. წიგნში სრულყოფილად არის აღწერილი და გაანალიზებული აფხაზეთის განათლების ისტორია, ამ სფეროში ავტორის, თითქმის, ნახევარსაუკუნოვანი მოღვაწეობის, გამოცდილების, შთაბეჭდილებების გათვალისწინებით.

მონოგრაფია რამდენიმე თავისგან შედგება, ესენია: განათლების სათავეებთან აფხაზეთში; საბჭოთა განათლების სისტემა აფხაზეთში; განათლების სისტემა კონფლიქტამდე და კონფლიქტის პერიოდში (1989-1993 წ.წ.); დევნილი მასწავლებლის მძიმე ხვედრი, განათლება სამურზაყანოში წარსულში და დღეს, განათლება დალის (კოდორის) ხეობაში... რედაქტორის რეცენზიასთან ერთად ნაშრომს ერთვის შესავალი, ვრცელი რეზიუმე დასკვნითი დებულებებითურთ და ვრცელი ბიბლიოგრაფია. განათლება წარმოდგენილია კომპლექსურად: აფხაზეთის ცალკეული მხარეების, ისტორიულ ეპოქათა და მოვლენათა ცვალებადობის, რუსიფიკატორული რეჟიმის, პოლიტიკური ქარტეხილების წარმოჩენის, სრულყოფილად აღწერისა და ანალიზის ჭრილში, რაც ნაშრომს უდავოდ ხდის ინოვაციურს, საინტერესოდ წასაკითხს და მეცნიერულად ღირებულს.

განსაკუთრებული ინტერესით იკითხება პირველი თავი – განათლების სათავეებთან აფხაზეთში, რომელიც მოიცავს 1850-1920 წლებს და ეხება პირველი საგანმანათლებლო კერების სამისიონერო, მართლმადიდებელი ქრისტიანობის აღმდგენელი საზოგადოების, სახალხო განათლების სამინისტროს, ქართველთა შორის წერა-კითხვის გამავრცელებელი საზოგადოებისა და კერძოდ, სკოლების შექმნასა და დაარსებას აფხაზეთში.

ძნელია ემოციების დამალვა და თანაგრძნობის არგამოვლენა მონოგრაფიის მეხუთე თავის კითხვისას – „დევნილი მასწავლებლის მძიმე ხვედრი“. ავტორი დიდი სიყვარულით, მოკრძალებით, გულისტკივილით წერს იმ ადამიანთა ღვაწლსა და გმირობაზე, რომელთა მხრებსა და ენთუზიაზმზე გადაიარა, უმძიმეს პირობებში, ახალგაზრდობის სწავლა-აღზრდის საქმემ. ბატონი ვახტანგ გასვიანი ამ წიგნით კიდევ ერთხელ შეგვახსენებს საყოველთაო ჭეშმარიტებას, რომ ქვეყანას, ერს, რომელსაც მასწავლებელი, თაობათა აღმზრდელი, პედაგოგი დაფასებული არ ჰყავს, მომავალი არ აქვს.

ამ წიგნის სამეცნიერო მნიშვნელობასა და პუბლიცისტურ აქტუალობას განაპირობებს შემდეგი გარემოებანი: წიგნში, პირველად, მონოგრაფიულად არის შესწავლილი და გამოკვლეული აფხაზეთის განათლების სისტემა ბოლო ორი საუკუნის განმავლობაში. კრიტიკულად არის შეფასებული ის გზები და მეთოდები, რომლებსაც იყენებს საოკუპაციო რეჟიმი რეგიონის ქართველი და აფხაზი მოსახლეობის ერობრივი და აქედან გამომდინარე, ეთნიკური იდენტობის დასადასტურებლად. პირველად განიხილება აფხაზეთის განათლების საკითხები ეთნოკულტურის, ისტორიის, მედიის, რელიგიის საკითხებთან კონტექსტსა და ურთიერთკავშირში. სარეცენზიო წიგნის მეშვეობით მკითხველი ღებულობს მდიდარ ინფორმაციას არა მხოლოდ განათლების შესახებ, რამდენადაც მასში დიდი მეცნიერული კეთილსინდისიერებით არის შესრულებული ინტერდისციპლინარული კვლევა.

ნაშრომიდან ნათლად და მკაფიოდ ჩანს, რომ წიგნი დაწერილია მაღალი რანგის პროფესიონალის მიერ, რომელიც დაკავშირებულია განათლებასთან, აფხაზეთთან, პედაგოგიკასთან და რომელიც დაჯილდოებულია ურთულესი საკითხებისა თუ პრობლემების ორიგინალური ხედვის, მათი ღრმა წვდომის უნარით. და საერთოდაც, ამ წიგნში ბევრ პრაქტიკულ და საინტერესო, ისტორიულად ღირებულ ამბავს შევიტყობთ აფხაზეთზე – ძირძველ ქართულ კუთხეზე. წიგნის ღირებულებას უდავოდ ზრდის მისი ავტორის წერის მანერა, მკაფიო და დახვეწილი, პოეტურთან მიახლოებული აკადემიური სტილი, შეჯერებული ლოგიკური, არგუმენტირებული მსჯელობებითა და დასკვნებით; წიგნი საინტერესო იქნება სხვადასხვა დარგის, ასაკის, პროფილის, სხვადასხვა თაობის მკითხველისათვის.

წიგნში, რომელიც აფხაზეთის განათლების საკითხის მონოგრაფიულად და კომპლექსურად კვლევისპირველი წარმატებული ცდაა, შესწავლილი და წარმოდგენილია დალის ხეობის განათლების ისტორია, პრობლემატიკა, სკოლების დაარსება და ფუნქციონირება, აღწერილია ლამის თითოეული პედაგოგის ღვაწლი და დამსახურება, განხილულია ხეობის ისტორიული წარსული, კოდორელთა 15-წლიანი საბრძოლო თავგანწირვა სოხუმის დაცემის შემდგომ პერიოდში, გაანალიზებულია დღევანდელობა, დასმულია უაღრესად აქტუალური კითხვები და საკითხები...

გამოვხატავ სასკოლო, საუნივერსიტეტო და სამეცნიერო წრეების აზრს და გულწრფელ მადლობას ვეტყვი ავტორს, რომ ეს მტკივნეული და უაღრესად საჭირბოროტო საკითხი ასე დეტალურად, ასეთი პროფესიონალიზმით იკვლია, შეისწავლა, პრობლემები შეგვახსენა და არაერთ საშვილიშვილო საქმესა და საკითხზე დაგვაფიქრა. ახალგაზრდებისათვის, მომავალი თაობებისათვის მისაბაძი უნდა იყოს ავტორის მიერ გავლილი ცხოვრების გზა, მაღალი პროფესიონალიზმი და მშობლიური კუთხის გამორჩეული სიყვარული, სამშობლოს უანგარო მსახურება.

ჩვენი ერთი გამოხმაურება, საგაზეთო პუბლიკაციის სახით, ბუნებრივია, ვერ აღნუსხავს და ვერ დაიტევს სარეცენზიო ნაშრომის ყველა ღირსებას (ამ ღირსებათა სიმრავლის გამო), მაგრამ იმას კი ხაზგასმით აღვნიშნავდი, რომ ვახტანგ გასვიანის წიგნი „განათლების ისტორიიდან აფხაზეთში“ უაღრესად საჭირო, დროული და, განათლების პრობლემატიკიდან გამომდინარე, მეტად აქტუალური ნაშრომია.

მასში წარმოდგენილი კვლევის შედეგები, დასკვნები და რეკომენდაციები კი უეჭველად გასათვალისწინებულია სამომავლოდ არა მხოლოდ განათლების სფეროს მუშაკთა, არამედ პოლიტიკოსთა მიერაც.

ზემოთ აღნიშნულ გარემოებათა გათვალისწინებით, გამოვთქვამ სურვილს და ვშუამდგომლობ შესაბამისი უწყებების წინაშე, რათა ავტორს, ბატონ ვახტანგ გასვიანს – აფხაზეთის საგანმანათლებლო სისტემის გამოჩენილ მოღვაწეს – მიენიჭოს გიორგი შერვაშიძის სახელობის პრემია.

**ქეთევან მარგიანი**
*ფილოლოგიის აკადემიური დოქტორი,*
*სოხუმის სახელმწიფო უნივერსიტეტის*
*ასოცირებული პროფესორი*

კონფერენცია

# განათლება თანამედროვეობის მხარდამხარ

ლალი თვალაბეიშვილი

თბილისის 128-ე საჯარო სკოლაში, პირველ სემესტრში, საგნობრივ კათედრებთან თანამშრომლობით, სკოლის დირექციამ დაგეგმა მოსწავლეთა სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენცია – „განათლება თანამედროვეობის მხარდამხარ“, რომლის მიზანი იყო: მოსწავლეთა შემეცნებითი ინტერესების განვითარება და თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირება, საუკეთესო პროექტებისა და ნაშრომების გამოვლენა და წახალისება.

ამ იდეამ უფროსკლასელთა დიდი დაინტერესება გამოიწვია. მათ სხვადასხვა დისციპლინებში აირჩიეს თემები, მოიძიეს და დაამუშავეს მასალა, შექმნეს თვალსაჩინო რესურსი, ჩაატარეს ექსპერიმენტები. სულ საკონფერენციოდ, საგნობრივ სექციებში, 100-მდე ინდივიდუალური თუ ჯგუფური პროექტი მომზადდა.

1-5 დეკემბერს საბუნებისმეტყველო, ქართული ენისა და ლიტერატურის, ინგლისური ენის, რუსული ენის, მათემატიკისა და საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრებმა სექციური სხდომები ჩაატარეს და კონფერენციის დასკვნითი ტურისთვის 28 მოსწავლის 21 ნამუშევარი შეარჩიეს. იყვნენ მოსწავლეები, რომლებსაც რამდენიმე საგანში ჰქონდათ მომზადებული საკონფერენციო თემა: **თამუნა ცერცვაძე** – ქართული ენა და ლიტერატურა, რუსული ენა, ბიოლოგია, ინგლისური ენა; **ნინო გოდორაძე** – ინგლისური ენა, ბიოლოგია; **ანასტასია ჩხენკელი** – მათემატიკა, ქართული ენა და ლიტერატურა. წარმოდგენილი იყო ჯგუფური ნაშრომები: **დავით ჭკადუა, ნიკოლოზ სარაჯიშვილი** – „ზეგამტარები“, ქიმია; **ლუკა ნადარეიშვილი, ნინო ზურაშვილი** – „რეაქციის მიმდინარეობის ენერგეტიკული და ენტროპული ფაქტორები“, ქიმია; **თათია მიქელაძე, ანა ბესიაშვილი** – „ტაო-კლარჯეთი – ჩვენი ტკივილი და სიამაყე“, ქართული ენა და ლიტერატურა.

კონფერენციის დასკვნით ტურზე გამარჯვებულმა მოსწავლეებმა საკუთარი ნაშრომები საჯაროდ წარადგინეს. მონაწილეები შემდეგი კრიტერიუმების მიხედვით ფასდებოდნენ: პრეზენტაციის სტრუქტურა – 2 ქულა; პრეზენტაციის უნარი – 2 ქულა; რესურსის წარმოჩენა – 1 ქულა; ნაშრომის ორიგინალურობა, ავტორის დამოუკიდებელი აზროვნება, ინოვაცია – 5 ქულა; სულ – 10 ქულა.

ჟიურის შემადგენლობაში იყვნენ სხვადასხვა საგნის პედაგოგები: **თამარ ქუთათელაძე** – ქართული ენა და ლიტერატურა; **ნატა ქოჩლაძე** – რუსული ენა; **დალი გულაია** – ქიმია; **ქეთევან სადრაძე** – ფიზიკა; **დოდო ნარსია** – ინგლისური ენა; **თეა ძაგნიძე** – ბიოლოგია; **დიანა დეკანოიძე** – მათემატიკა; ჟიურის თავმჯდომარე – სკოლის დირექტორი **გულიკო ხორბალაძე**.

კონფერენციას ესწრებოდნენ: მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებისა და პროექტების ლაბორატორიის წარმომადგენლები – **ნანა მახარაძე, ალექსანდრა მატვეევიჩი, ია გოდერძიშვილი**; ვაკე-საბურთალოს საგანმანათლებლო რესურსცენტრის მთავარი სპეციალისტი **ნანა გოგინაშვილი**.

პრეზენტაციების დაწყებამდე გავესაუბრეთ სკოლის დირექტორს, **გულიკო ხორბალაძეს**: *„ამ სკოლის დირექტორად სექტემბერში დავინიშნე. ჩემი მიზანი იყო ისეთი სამოქმედო გეგმის შედგენა, რომ მაქსიმალურად მიმექცია ყურადღება სწავლებისა და სწავლის მოტივაციის ამაღლებისათვის. სწორედ ამიტომ, საგნობრივ კათედრებთან ერთად, დავგეგმეთ კონფერენცია. მოვიფიქრეთ დებულება, რომლის მიხედვითაც უნდა ჩაგვეტარებინა კონფერენცია სათაურით – „განათლება თანამედროვეობის მხარდამხარ“. დებულება გავაცანით მასწავლებლებს და მოსწავლეებს. შემდეგ მონაწილეთა რეგისტრაცია ჩავატარეთ და განვსაზღვრეთ მასალა, ანუ უფროსკლასელებს, საორიენტაციოდ, საგნების მიხედვით, შევთავაზეთ თემები, რომლებიც უნდა აერჩიათ. იმავდროულად, შესაძლებლობა მივეცით, თვითონაც მოეფიქრებინათ თემატიკა.*

*ძალიან ბევრი საინტერესო თემა შემოვიდა საგნობრივ სექციებში. მოსმენებს შეძლებისდაგვარად ვესწრებოდი. პირადად ჩემი შთაბეჭდილება მოკლედ ასეთია: საკონფერენციო თემებზე მუშაობამ კარგი უკუკავშირი მოგვცა, მოსწავლეებმა ჩაატარეს ცდები, ექსპერიმენტები, მოიძიეს ინფორმაცია და ა.შ. მიმაჩნია, რომ ჩვენი მიზანი – მოსწავლე პრობლემაზე ორიენტირებული ყოფილიყო და მისი ხედვა – არგუმენტირებული და ინოვაციური, დამოკიდებულება – ახლებური – მიღწეულ იქნა.*

*ყოველგვარი სუბიექტური მიდგომა რომ გამოგვერიცხა, წინასწარ მოვიფიქრეთ, რის მიხედვით შეგვეფასებინა ბავშვები. პრეზენტაციისთვის ძალიან ცოტა დრო მივეცით – 3 წუთი და გამოვყავით 4 კრიტერიუმი. ამ კრიტერიუმებით იმუშავებს ჟიური და გამოავლენს 10 საუკეთესო მოსწავლეს, რომლებსაც ფასიანი საჩუქრები გადაეცემათ. მე პერსონალური პრიზი დავაწესე – „დირექტორის სიმპატია“. მინდა გამოვარჩიო და წავახალისო ყველაზე ერუდიტი მოსწავლე, ვინც ყველაზე მეტი შრომა გასწია. ზოგადად, ვფიქრობ, რომ მოსწავლის შრომა წახალისებას იმსახურებს, მით უმეტეს, რომ ჩვენ ბევრი ნიჭიერი მოსწავლე გვყავს.“*

პრეზენტაციები მრავალფეროვანი და საინტერესო მოსასმენი იყო. ამა თუ იმ საგნის ცოდნასთან ერთად, მოსწავლეებმა გამოავლინეს საუკეთესო უნარები – პრეზენტაციის, თეორიული ცოდნის პრაქტიკულ საქმიანობასთან დაკავშირების, დეკლამაციის და სხვ.

**ანასტასია ჩხენკელი**, IX$^{3}$ კლასის მოსწავლე, თემა – „ოქროს კვეთა“ (მათემატიკა): *„სამყაროში ყველაფერი კანონზომიერი, ჰარმონიული და ერთიანად სიმეტრიულია. ის, რასაც ჩვენი თვალით აღვიქვამთ, თითოეული საგანი, რომელშიც ვპოულობთ ოქროს კვეთას, სრულყოფილია. ოქროს კვეთა გვხვდება მათემატიკაში, ლიტერატურაში, არქიტექტურაში, პოეზიაში, მხატვრობაში, მუსიკაში, რასაც ჩვენ კულმინაციას ვუწოდებთ. სწორედ კულმინაციაა გადამწყვეტი კვანძი, მნიშვნელოვანი ნაწილი ქმნილებისა, რომელიც დიდ როლს თამაშობს ამა თუ იმ ნაწარმოებსა და ხელოვნების ნიმუშში. ფოტოხელოვნებაში ოქროს კვეთა არის კადრის მთავარ წერტილში მნიშვნელოვანი ელემენტის ჩასმა.*

*საინტერესოა, რომ შოთა რუსთაველის „ვეფხისტყაოსანი“, ძირითადად, ოქროს კვეთას წარმოადგენს, რაც ახლებურად სვამს საკითხს რუსთაველის ლექსის მეტრიკული სტრუქტურის შესახებ, ხოლო მის ავტორს სრულებით განსაკუთრებულ ადგილს ანიჭებს მსოფლიო პოეზიის ისტორიაში. პოეზიაში რუსთაველი პირველია, ვინც ოქროს კვეთაზე ააგო ესოდენ დიდი მოცულობის ნაწარმოები.“*

**თინათინ ცისკარიძე**, IX$^{3}$ კლასის მოსწავლე, თემა – „ლენინგრადის მოსწავლეთა მათემატიკური ოლიმპიადის ერთი ამოცანის შესახებ“ (მათემატიკა): *„რამდენიმე წელი მე და ჩემი მეგობრები დავდიოდით ნორჩ მათემატიკოსთა და პროგრამისტთა წრეზე, სადაც ვეცნობოდით სხვადასხვა საინტერესო მათემატიკურ ამოცანას და ვწერდით პროგრამებს. ერთ მეცადინეობაზე წრის ხელმძღვანელმა დავალებად შემოგვთავაზა ამოცანა, რომელიც ლენინგრადის ერთ-ერთ მათემატიკურ ოლიმპიადაზე იყო წარმოდგენილი. საკონფერენციოდ სწორედ ეს ამოცანა განვიხილე, სადაც დასამტკიცებელი იყო, რომ არ არსებობს ფიგურა, რომელიც გარკვეული სახის პირობებს აკმაყოფილებს. დავადგინეთ, რომ თანდართულ მითითებებში მოყვანილი გზა ეყრდნობა უტოლობას, რომელიც საზოგადოდ სამართლიანი არ არის და მოვიყვანეთ შესაბამისი მაგალითი. უფრო მეტიც, ჩვენ გავაანალიზეთ მოცემული შეზღუდვები და კომპიუტერის დახმარებით მოვახერხეთ სათანადო ფიგურის აგება, რაც იმას ნიშნავს, რომ არა მარტო ამოცანის მითითება, არამედ თვით ამოცანის პირობაც შეცდომას შეიცავს.“*

**ნინო გოდორაძე**, IX$^{2}$ კლასის მოსწავლე, თემა – „ნიკოტინის მავნე ზემოქმედება ადამიანის ორგანიზმზე“ (ბიოლოგია): *„მსოფლიოში, დაახლოებით, მილიარდი კაცი ეწევა. ეს იმას ნიშნავს, რომ ყოველი მესამე ზრდასრული ადამიანი თამბაქოს ტყვეა. ჯანმრთელობის მსოფლიო ორგანიზაციის მონაცემებით, მოწევით განპირობებული დაავადებებით, ყოველწლიურად, 4 მილიონი კაცი კვდება. თუ არაფერი შეიცვალა, 20 წლის შემდეგ, სიგარეტი მთელ მსოფლიოში სიკვდილისა და ინვალიდობის უმთავრეს მიზეზად იქცევა.*

*სიგარეტის მავნებლობაზე ბევრს ლაპარაკობენ, მაგრამ ლაპარაკი ლაპარაკად რჩება. ყველა მწეველმა უნდა შეიგნოს, რომ თამბაქოს მოწევა ნაადრევად აბერებს ორგანიზმს და სიკვდილთან აახლოებს. მე არ მეგულება ადამიანი, რომელსაც სიცოცხლე არ უნდოდეს. მინდა მივმართო მწეველებს – გიღირთ, სიცოცხლის ფასად, ის 5-10-წუთიანი „სიამოვნება“, რომელსაც ვეღარ აღწევთ თავს? ის 5-10 წუთი არის დრო, რომელსაც სიგარეტი თქვენი ორგანიზმიდან სასიცოცხლო ენერგიის წართმევას ახმარს. გახსოვდეთ, თითოეული სიგარეტის მოწევის შედეგად ჩამოგეჭრებათ სიცოცხლიდან 5-10 წუთი.“*

**ანი ოქროპირიძე**, IX$^{2}$ კლასის მოსწავლე, თემა – „საოცარი ნივთიერება – წყალი“ (ფიზიკა): *„ნივთიერებებს შორის წყალს, თავისი ფიზიკურ-ქიმიური თვისებებით, განსაკუთრებული ადგილი უჭირავს. წყლის ყველა ეს თვისება ბუნების გამონაკლისია. ის ნამდვილად ყველაზე საოცარი ნივთიერებაა. ის საოცარია არა მარტო მოლეკულების იზოტოპური ფორმების მრავალსახეობით და იმით, რომ მომავალი ენერგიის უშრეტი წყაროა, ის საოცარია თავისი ჩვეულებრივი თვისებებით.*

*ჩვენი პლანეტის ზედაპირის 3/4 წყლითაა დაფარული, მყარი წყლით – ყინულითა და თოვლით დაფარულია ჩვენი პლანეტის 20%. წყალზეა დამოკიდებული ჩვენი პლანეტის კლიმატი. წყალი რომ არა, დედამიწა დიდი ხნის წინ გაცივდებოდა და გადაიქცეოდა უსიცოცხლო ქვის ნატეხად. წყალი, დიდი კუთრი სითბოტევადობის გამო, გათბობისას, სითბოს შთანთქავს ნელა, გაცივებისას კი ნელა გამოყოფს სითბოს, რითაც თითქოს „აწონასწორებს“ დედამიწის კლიმატს. ატმოსფეროში ორთქლისა და ღრუბლების სახით გაფანტული წყლის მოლეკულები იცავს დედამიწას კოსმოსური სიცივისგან.*

*ადამიანის ორგანიზმის 2/3-ს შეადგენს წყალი, ყველა ბიოლოგიური პროცესი ცოცხალ უჯრედებში წყალხსნარების რეაქციაა. წყალხსნარებში მიმდინარეობს ქიმიური მრეწველობის უმეტესი ტექნოლოგიური პროცესები. წყლის გარეშე სიცოცხლე წარმოუდგენელია. წყალი სიცოცხლის საფუძველია და მასზე ძვირფასი ბუნებაში არაფერია.“*

**ნიკოლოზ სარაჯიშვილი, დავით ჭკადუა**, IX$^{3}$ კლასის მოსწავლეები, თემა – „ზეგამტარობა“ (ფიზიკა): *„ბოლო ათწლეულების განმავლობაში, ბევრი მნიშვნელოვანი მასალა იყო აღმოჩენილი, როგორიცაა, მაგალითად, მაღალტემპერატურული ზეგამტარები. ეს მასალა ძალიან პერსპექტიულია მომავლის ტექნოლოგიებისათვის და მას დიდი გამოყენებითი პოტენციალი აქვს.*

*ზეგამტარი ეწოდება ისეთ გამტარს, რომელიც ელექტრონულ დენს წინაღობის გარეშე ატარებს. სადენს, რაგინდ კარგი გამტარიც არ უნდა იყოს, აქვს წინაღობა, რომელიც იწვევს ენერგიის დაკარგვას. თუმცა, გამტარების გაცივებასთან ერთად, მისი წინაღობა იკლებს, ხოლო გარკვეული ტემპერატურის შემდეგ (კრიტიკული ტემპერატურა) ის ნულდება.*

*ძალიან დაბალ ტემპერატურაზე ზოგიერთი ისეთი მასალის ელექტრო და მაგნიტური თვისებები, როგორიცაა ტყვია, ვერცხლისწყალი ან ზოგიერთი ოქსიდი, რადიკალურად იცვლება. ეს მასალები ზეგამტარი ხდებიან – ისინი ვეღარ უწევენ წინააღმდეგობას ელექტრულ დენს და მაგნიტურ ველს განდევნიან.*

*დღეს ზეგამტარობა უაღრესად აქტიური კვლევის სფეროა, საქმე ეხება მისგან წარმოშობილი მექანიზმების გარკვევას, ახალი ზეგამტარი მასალების შეცნობასა თუ უკვე მრავალრიცხოვანი გამოყენების გაფართოებას.“*

**ანა ბესიაშვილი, თათია მიქელაძე**, X$^{3}$ კლასის მოსწავლეები, თემა – „ტაო-კლარჯეთი – ჩვენი ტკივილი და სიამაყე“ (ქართული ენა და ლიტერატურა): *„დღეს ისტორიული კლარჯეთის მხარე მთლიანად თურქეთის რესპუბლიკის საზღვრებშია მოქცეული და მისი მნიშვნელოვანი ნაწილი, კაშხლის მშენებლობის გამო, რამდენიმე წელიწადში წყლით დაიფარება. დღეს იგი, როგორც ცალკე პროვინცია ან რაიონი, არ არსებობს. თურქეთის თანამედროვე ადმინისტრაციული დაყოფით, კლარჯეთი მოქცეულია შავი ზღვის რეგიონში, კერძოდ ართვინის პროვინციაში. აერთიანებს ამ პროვინციაში შემავალ არტანუჯს, ართვინის, მურგულისა და ბორჩკის რაიონებს, ასევე ზღვისპირა ხოფას რაიონს.*

*წლების განმავლობაში ბევრი ქართველის განუხორციელებელ ოცნებად ქცეულა ძირძველ მიწაზე ფეხის დადგმა, მიტოვებული ტაძრების მოლოცვა და აწ თურქულად ქცეული სამშობლოს მოსიყვარულება. ამიტომაც დიდი იყო ინტერესიც, მოლოდინიცა და შიშნარევი სიხარულიც, როცა გზას გავუდექით მშობლიური, მაგრამ საოცრად შორეული ტაო-კლარჯეთისკენ... ეს ნაშრომიც ჩვენი ემოციების, სიხარულისა და ტკივილის გაზიარებას ისახავს მიზნად.“*

პრეზენტაციები დასრულდა და ვიდრე ჟიური მსჯელობდა, კონფერენციის სტუმრებს მოსწავლეებმა საახალწლო კლიპი (მოამზადა IX$^{1}$ კლასის მოსწავლემ – **ლაშა თელიამ**) შემოგვთავაზეს, რითაც საქმიან ატმოსფეროს ხალისიანი განწყობა შემატეს.

**ნანა მახარაძე**, მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლის სასწავლო-შემოქმედებითი კონფერენციებისა და პროექტების ორგანიზატორი: *„მისასალმებელია, რომ კიდევ არის იმის რესურსი, რომ სკოლებში მსგავსი საგანმანათლებლო კონფერენციები ჩატარდეს. ჩვენ წლების განმალობაში ვკურირებთ რესპუბლიკურ კონფერენციებს, ძალიან დიდი გამოცდილება გვაქვს და მიხარია დღევანდელი კონფერენცია ასეთი საინტერესო რომ იყო. ვერც კი წარმომიდგენია, რა კრიტერიუმით უნდა შეფასდეს პრეზენტაციები იმიტომ, რომ ოცდაერთივე ნაშრომში ჩადებულია უზარმაზარი შრომა. მივესალმები ამ დიდ წამოწყებას. უპირველეს ყოვლისა, ძალიან დიდი მადლობა ქალბატონ გულიკო ხორბალაძეს, რომ სათავეში უდგას ასეთ დიდ კონფერენციას. მიმაჩნია, რომ წახალისების ასეთი ფორმა – დაჯილდოება, ბავშვებს შემდგომში ცოდნის გაღრმავების სტიმულს მისცემს. მოვუწოდებ ყველა სკოლას, მიბაძონ 128-ე საჯარო სკოლის წამოწყებას, გვერდში დაუდგნენ ახალგაზრდებს და მისცენ გზა ფართო განათლებისა და განვითარებისაკენ.*

*არაჩვეულებრივი ბავშვია თამუნა ცერცვაძე, განათლებული და ჭკვიანი, ასევე, არაჩვეულებრივი იყო ტაო-კლარჯეთის თემა. სასიამოვნოა, რომ ჩვენი თაობისგან მივიწყებული პრობლემა ახალი თაობისთვის აქტუალურია. მივესალმები ფიზიკა-მათემატიკისა და ქიმიის წამოწევას, იმიტომ რომ, ჩვენდა სამწუხაროდ, დღეს ნაკლებად გვყავს მეცნიერები, ეს ბავშვები აუცილებლად უნდა წავახალისოთ.“*

ჟიურიმ 10 საუკეთესო ნაშრომი გამოავლინა და ავტორებს ფასიანი საჩუქრები გადასცა. კონფერენციის ყველა მონაწილე დაჯილდოვდა სიგელით. დირექტორის მიერ დაწესებული პრიზი – „დირექტორის სიმპატია“ XI$^{1}$ კლასის მოსწავლე **თამუნა ცერცვაძეს** გადაეცა. *„ჩემთვის თემაზე – სიტყვისა და საქმის შეფასება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში – მუშაობა ძალიან საინტერესო იყო, რადგან ეს პრობლემა დღესაც აქტუალურია საქართველოში. არავინ არ მოქმედებს იმისთვის, რომ არსებული ვითარება გამოსწორდეს, მხოლოდ საუბრობენ. გადავწვიტე ეს საკითხი წარმომეჩინა და მეთქვა, რომ, რადგან მივაქციეთ ყურადღება, კარგად დავფიქრდეთ და, რაც მთავარია, ვიმოქმედოთ მის გამოსასწორებლად. ჩვენ გარდა, ამას არავინ გააკეთებს. თემა განხილული მქონდა ილია ჭავჭავაძის „მგზავრის წერილების“, „კაცია-ადამიანის?!“ და „ოთარაანთ ქვრივის“ მაგალითზე.*

*წარმოვადგინე რუსულ ენაზე დაწერილი ჩემი საკუთარი მოთხრობა „ახალგაზრდა მეკობრე“, რომელიც 14 წლის ასაკში დავწერე. შევეხე რასიზმის პრობლემას და, ზოგადად, ძალადობის პრობლემას. სამწუხაროდ, დღეს, საქართველოში, გენდერული თანასწორობა არ არსებობს – ჯერჯერობით, კაცები დომინირებენ ქალებზე. გადავწყვიტე ეს საკითხი და რასიზმის გლობალური პრობლემა წარმომედგინა ჩემს მოთხრობაში. „ახალგაზრდა მეკობრე“ ინგლისურ ენაზეც ვთარგმნე და საკონფერენციოდ გამოვიტანე.*

*კიდევ წარმოდგენილი მქონდა ნაშრომი ბიოლოგიაში. ნარკომანია უდიდესი პრობლემაა მთელ მსოფლიოში და საქართველოშიც. ძალიან ბევრი ახალგაზრდა მოიხმარს ნარკოტიკს, რაც, ჩემი აზრით, არასწორია. უნდა ვეცადოთ მდგომარეობა გამოვასწოროთ. როდესაც ეს პრობლემა ვიკვლიე, იმ დასკვნამდე მივედი, რომ ძალიან ეფექტური იქნება თვითონ ნარკომანებმა რომ მოუწოდონ ბავშვებს, არ მიიღონ ნარკოტიკი და უთხრან, რომ ეს უდიდესი შეცდომაა.“* – გვითხრა თამუნამ.

კონფერენციის დასკვნითი ტურის მონაწილე უფროსკლასელთა შორის ყველაზე მეტი XI$^{1}$ კლასიდან იყო წარმოდგენილი. პირველ ადგილზე გასული ნაშრომის ავტორი და „დირექტორის სიმპატია“ – თამუნა ცერცვაძეც ამ კლასის მოსწავლეა.

**თამარ ქუთათელაძე**, XI$^{1}$ კლასის დამრიგებელი, ქართული ენის პედაგოგი: *„მიმაჩნია, რომ საკონფერენციო ტიპის მუშაობა სკოლაში ძალიან მნიშვნელოვანია. თემა, რომელიც საკონფერენციოდ გამოვიტანე – სიტყვისა და საქმის შეფასება ილია ჭავჭავაძის შემოქმედებაში – მანამდე კლასში დავამუშავეთ. დამუშავდა ხუთი თემა, რომელთაგან საუკეთესო წარმოდგენილი იყო დღევანდელ კონფერენციაზე. მიმაჩნია, რომ ჩვენი თემის პრობლემატიკა დღესაც აქტუალურია, ძალიან დიდი აცდენაა სიტყვასა და საქმეს შორის. მოსწავლეს, რომელმაც ჩემს საგანში გაიმარჯვა – თამუნა ცერცვაძეს – ძალიან ფართო აზროვნება აქვს და გონიერი გოგონაა.*

*თავისთავად ის, რომ სკოლაში კონფერენცია ტარდება, სწორია. მოსწავლე სკოლაში, ცოდნის მიღებასთან ერთად, კვლევითი საქმიანობის წარმოების უნარ-ჩვევასაც უნდა იძენდეს. ჩვენს სკოლაში მსგავსი საქმიანობისთვის საუკეთესო პირობებია შექმნილი.“*

ქართველი სტუდენტები უცხოეთში

# ვეცადოთ შევქმნათ რაიმე ღირებული ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ



რუბრიკის სტუმარია
**ირაკლი გოგუა,**
კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის სტუდენტი

**– ირაკლი, გვიამბე მშობლიური სკოლისა და მასწავლებლების შესახებ, რამდენად წარმატებული მოსწავლე იყავი. განსაზღვრა თუ არა სკოლამ შენი მომავალი და პროფესიული არჩევანი?**

– უპირველეს ყოვლისა, დიდი მადლობა თქვენს რუბრიკაში მოწვევისთვის. ვეცდები, მკითხველს საინტერესოდ გავუზიარო საკუთარი გამოცდილება. განათლება, ჩემთვის, უკვე სკოლიდანვე იყო პრიორიტეტული. მოგეხსენებათ, განათლებული საზოგადოება ქმნის ქვეყნის, ასევე საკუთარ მომავალს, მაშინ ეს ყველაფერი კარგად მქონდა გააზრებული. აქტიურად ვიყავი ჩართული საერთაშორისო კონკურსებში. ერთ-ერთ წელს გავხდი საერთაშორისო მათემატიკური კონკურსის გამარჯვებული რეგიონში, ეს ჩემი პირველი წარმატება იყო სკოლაში, რომლის სერტიფიკატსაც დღემდე ვინახავ. წარჩინებით დავამთავრე ქალაქ ხობის პირველი საჯარო სკოლა. აღსანიშნავია, სტუდენტობა საქართველოში, ჩემი კარიერული განვითარებისთვის, ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ეტაპი იყო – ეროვნული გამოცდებით ჩავაბარე ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტში ბიზნესის ფაკულტეტზე, ასევე მეორადი პროფესიით – საინფორმაციო ტექნოლოგიების განხრით. პირველი კურსიდანვე, აქტიურად ვიყავი ჩართული სტუდენტურ ცხოვრებაში, ვმონაწილეობდი საერთაშორისო საგანმანათლებლო ღონისძიებებში, ვიყავი, არაფორმალური განათლების ფარგლებში, რამდენიმე პროექტის ორგანიზატორი და მონაწილე, ასევე საერთაშორისო სტუდენტური ორგანიზაციის „აიესეკი" წევრი და გლობალური გაცვლითი პროგრამის მოხალისე მონაწილე, სადაც სოციალურად დაუცველი ბავშვებისთვის ვგეგმავდით პროექტებს, უცხოელ მეგობრებთან ერთად. სწორედ ამ ყველაფერმა უმნიშვნელოვანესი როლი ითამაშა სამომავლო კარიერის (მაგისტრატურის) დაგეგმვაში საზღვარგარეთ, კონკრეტულად – პოლონეთში.

**– დამეთანხმები ალბათ, რომ განათლების მიღება საზღვარგარეთ ქართველი ახალგაზრდებისთვის სულ უფრო და უფრო პოპულარული ხდება. ნებისმიერი ადამიანი, რომელსაც სურს თავის პერსონალურ რეზიუმეში ოქროს ასოებით შეავსოს განათლების გრაფა, არჩევანს უცხოეთზე აკეთებს. მიამბე, რა გზა გაიარე საქართველოდან პოლონეთის რესპუბლიკამდე და რატომ აირჩიე განათლების მისაღებად მაინცდამაინც კრაკოვი?**

– დიახ, გეთანხმებით. სამწუხაროდ, საქართველოში საერთაშორისო დონის განათლების მიღება ძალიან რთულია. ეს არა მარტო ჩვენი, არამედ ყველა განვითარებადი ქვეყნის პრობლემაა. განათლების სისტემაში უფრო მეტი რეფორმა გვჭირდება. პროგრესი, ამ მიმართულებით, შეინიშნება, მაგრამ არასაკმარისია გლობალური კონკურენტუნარიანობისთვის. უკვე დიდი ხნით ადრე მქონდა დაგეგმილი სამომავლო მიზნები – საქართველოში ბაკალავრის ხარისხის მინიჭების შემდეგ, რამდენიმე სამაგისტრო პროგრამაზე მქონდა შეტანილი საბუთები, რომლებიც სრულ დაფინანსებას სთავაზობდნენ საერთაშორისო სტუდენტებს. კონკურსის წესით მოვხვდი პოლონეთის მთავრობის საუკეთესო სტუდენტთა სიაში. სრული დაფინანსებით და ყოველთვიური სტიპენდიით. ამ გზის გავლა ადვილი ნამდვილად არ ყოფილა. კრაკოვი საუკეთესო ადგილია პოლონეთში განათლების მისაღებად, რასაც მისი მრავალწლიანი ისტორია ადასტურებს.

**– მიამბე კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის ისტორია, როგორ ხდება სტიპენდიების და გრანტების მოპოვება. რა პრივილეგიებითა და შეღავათებით სარგებლობენ წარჩინებული სტუდენტები?**

– კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტი თანამედროვე უმაღლესი სასწავლებელია, იმავდროულად, კარგად ორგანიზებული ტრადიციები აქვს, რომელიც 1925 წლიდან მოსდევს. ეს ერთ-ერთი საუკეთესო ბიზნეს სკოლაა ქვეყანაში, სწავლისა და კვლევის მთავარი ცენტრი. უნივერსიტეტისათვის დამახასიათებელია შესასწავლი საგნების ფართო არეალი. ეკონომიკასთან ერთად ისწავლება სოციოლოგია, სამართალი, ისტორია, ფილოსოფია, ქიმია, ბიოლოგია, ფიზიკა, ეკოლოგია, ტურიზმი და სხვ. სწავლის პარალელურად, სტუდენტებს საერთაშორისო სტაჟის მიიღების შესაძლებლობა აქვთ. სასწავლებელი თანამშრომლობს უნივერსიტეტებთან მთელი მსოფლიოს მასშტაბით. სტუდენტებს ეძლევათ შანსი, მიიღონ ორმაგი ხარისხი – კრაკოვის ეკონომიკის უნივერსიტეტის და უცხო პარტნიორი უნივერსიტეტის გერმანიაში, შვედეთში, საფრანგეთში ან აშშ-ში.

შესანიშნავი გარემოა აკადემიური და არააკადემიური ღონისძიებებისთვის. სასწავლებელს აქვს კარგად აღჭურვილი ლაბორატორიები, თანამედროვე ბიბლიოთეკა, საცურაო აუზი, სპორტული დარბაზი და სტუდენტური საცხოვრებელი. სტიპენდიის შენარჩუნება ადვილი ნამდვილად არ არის, საჭიროა მაღალი აკადემიური მოსწრება და დიდი შრომა. რასაკვირველია, ყველაფერი შესაძლებელია. მოგეხსენებათ, პოლონეთი ერთ-ერთი მთავარი მხარდამჭერია აღმოსავლეთ პარტნიორობის პროგრამის და ამ პროგრამის ფარგლებში ხდება სტუდენტების სწავლის სრული დაფინანსება. ცნობილია, ბანაჰის, კირკლადის და ახალგაზრდა მეცნიერების პროგრამები. შესაძლებელია, ასევე, სხვადასხვა ფონდებიდან გრანტების მოპოვება. ადვილი ნამდვილად არაა, მაგრამ მთავარია მიზნებისა და პრიორიტეტების სწორი განსაზღვრა და აუცილებლად ყველაფერი გამოვა. სტუდენტები ევროპაში დიდი პრივილეგიებით სარგებლობენ. აღსანიშნავია უამრავი სტუდენტური გაცვლითი პროგრამა, განსაკუთრებით პოპულარულია ერასმუს პლიუსის პროგრამები. ასევე, სტუდენტური სტაჟირების პროგრამები წამყვან კომპანიებში, როგორებიცაა: Microsoft, Google, IBM, Capgemini, ING და ა.შ. ერთი სიტყვით, ევროპაში სტუდენტს უნიკალური შანსი აქვს, რომ განვითარდეს და პროფესიონალად ჩამოყალიბდეს.

**– რა პროფესიას ეუფლები? რამ განაპირობა პროფესიის არჩევანი? რომელ კურსზე ხარ?**

– ვარ კრაკოვის საერთაშორისო ურთიერთობებისა და ეკონომიკის ფაკულტეტის მაგისტრატურის მეორე კურსის სტუდენტი, ასევე, სტრასბურგის ბიზნეს სკოლის ერასმუსის გაცვლითი პროგრამის სტუდენტი. ამჟამად, აქტიურად ვმუშაობ დისერტაციაზე. მიუხედავად დიდი არჩევანისა, ყოველთვის დაინტერესებული ვიყავი საერთაშორისო ურთიერთობებით და ბიზნეს ადმინისტრირებით. ჩემი ფაკულტეტი კი პროფესიის ორივე განხრით დაუფლების შესაძლებლობას მაძლევს. ეს სწავლების ინოვაციური მეთოდია, რითაც სტუდენტს, ამ მხრივ, უნიკალური შანსი ეძლევა.

**– კრაკოვის უნივერსიტეტში ალბათ ძალიან ბევრი ცნობილი ადამიანი სწავლობდა. ვინ არიან ისინი, მოკლედ მიამბე მათ შესახებ.**

– კრაკოვი პოლონეთის საგანმანათლებლო ცენტრად ითვლება უკვე საუკუნეებია. აქ არის ევროპის ერთ-ერთი უძველესი უნივერსიტეტი – იაგელონიის უნივერსიტეტი, რომელიც 650-წლიან ისტორიას ითვლის. აქ მოღვაწეობდნენ ცნობილი მეცნიერები, ფილოსოფოსები, პოლიტიკოსები, მწერლები, პოეტები, ნობელის პრემიის ლაურეატები და ა.შ. გამოვყოფდი კოპერნიკს, შტეფან ბანაჰას, ვისლავა შიმბორსკას, რომელიც ნობელის პრემიის ლაურეატია ლიტერატურის დარგში.

**– უცხოეთში, სოციალური უზრუნველყოფის სისტემის დაწესებულებაში რეგისტრაციის შედეგად, უცხოელ სტუდენტებს, სწავლის პირველივე წლიდან, უფლება აქვთ იმუშაონ ნახევარ განაკვეთზე, გაქვს თუ არა მუშაობის შესაძლებლობა სწავლის პარალელურად?**

– მუშაობის უფლება მაქვს ნახევარ განაკვეთზე, მაგრამ უმეტეს დროს სწავლას ვუთმობ, ასევე, კონფერენციებსა და კონგრესებში ვმონაწილეობ. ვცდილობ, საინტერესო ხალხთან მქონდეს ურთიერთობა და გავიზიარო მათი გამოცდილება. ამ ზაფხულს, სტაჟირება გავიარე საქართველოს ეკონომიკის სამინისტროში, ეკონომიკური ანალიზისა და პოლიტიკის დეპარტამენტში. რა თქმა უნდა, დიდი გამოცდილება მივიღე და სამომავლოდაც ვაპირებ თანამშრომლობას.

**– სამეფო დედაქალაქი კრაკოვი ერთ-ერთი უძველესი და უდიდესი ქალაქია პოლონეთში, შენთვის რა არის ამ ქალაქში განსაკუთრებული და შთამბეჭდავი, სად და როგორ ატარებ თავისუფალ დროს? მომავალი როგორ გესახება, სად აპირებ დამკვიდრებას?**

– გეთანხმებით, კრაკოვი მართლაც უძველესი და უნიკალურია თავისი ისტორიით. აქ ყველაფერი განსაკუთრებული და შთამბეჭდავია. მისი ძველი ნაწილი იუნესკოს მიერ მსოფლიო მემკვიდრეობადაა მიჩნეული. ათასწლოვანი ისტორიის წყალობით, ქვეყნის გულად მიიჩნევა.

თავისუფალ დროს მეგობრებთან და მოგზაურობაში ვატარებ. ვცდილობ, რაც შეიძლება ბევრი ქვეყნის კულტურასა და ტრადიციებს პირადად ვეზიარო, ვეცნობი ინოვაციებს სხვადასხვა დარგებში. როგორც ბერნარდ შოუ თვლიდა, მიღებული განათლება არაფერია იმასთან შედარებით, რაც კითხვას, მოგზაურობას და ადამიანებთან ურთიერთობას მოაქვსო, რასაც სრულიად ვეთანხმები. ასევე, ძალიან მიყვარს ფოტოგრაფია. რამდენიმე პრიზი მაქვს მიღებული მოყვარულ ფოტოგრაფთა კონკურსში. სამომავლოდ ბევრი გეგმები მაქვს, ვნახოთ, როგორ განვითარდება მოვლენები.

**– როგორ ფიქრობ, საზღვარგარეთ მიღებული განათლება და დიპლომი საქართველოში დასაქმებაში ითამაშებს თუ არა გადამწყვეტ როლს?**

– ჩემი აზრით, ეს ერთ-ერთი გადამწყვეტი ფაქტორი იქნება, რადგან აქ უფრო მეტ ცოდნასა და გამოცდილებას იღებ, რაც დამსაქმებლისთვის, უმეტეს შემთხვევაში, გადამწყვეტ როლს ასრულებს. უკვე მქონდა შესაძლებლობა, მემუშავა ეკონომიკის სამინისტროში, რომელსაც ორგანიზებას უწევდა მსოფლიო სტუდენტთა ორგანიზაცია და დიასპორის სამინისტრო. პროგრამის ფარგლებში, ვეცნობოდით სხვადასხვა სამინისტროების მუშაობის სტილს, სტრატეგიებს და ვიღებდით ინფორმაციას სამომავლო გეგმებზე. ასევე, საინტერესო შეხვედრები გვქონდა პარლამენტარებთან და პრემიერთან.

**– რას ურჩევ ახალგაზრდებს, რომლებსაც საზღვარგარეთ ცოდნის გაღრმავებისა და კვალიფიკაციის ამაღლების სურვილი აქვთ.**

– როგორც უკვე აღვნიშნე, პირველ რიგში, მიზნები და პრიორიტეტები უნდა იყოს სწორად დასახული. ასევე, მნიშვნელოვანია მუშაობა საკუთარ თავთან. ცხოვრება მხოლოდ საკუთარი თავის პოვნა არაა, ცხოვრება საკუთარი თავის შექმნაცაა. ამიტომ, უნდა ვეცადოთ, რაიმე ღირებული შევქმნათ ქვეყნისა და საზოგადოების საკეთილდღეოდ. რა თქმა უნდა, დიდი შრომის გარეშე შედეგიც ნაკლებად სავარაუდოა. თომას ედისონი ამბობდა, რომ ჩვენი ყველაზე დიდი ნაკლი ისაა, რომ ძალიან მალე ვყრით ფარ-ხმალს. წარმატებისკენ მიმავალი უფრო სწორი გზა მუდმივ, კიდევ ერთხელ ცდაშია.

**– დაბოლოს, რა არის ის, რაც ევროპამ მოგცა, შენთვის ყველაზე მნიშვნელოვანი და ღირებული?**

– ჩემთვის ყველაზე ღირებული იყო ახალი შესაძლებლობები და საკუთარი თავის პოვნა.

*ესაუბრა*
**მაკა ყიფიანი**

სასკოლო აქტივობა

# „რა არის თავისუფლება“

10 დეკემბერი, გაეროს გენერალური ასამბლეის მიერ, ადამიანის უფლებათა დაცვის მსოფლიო დღედაა გამოცხადებული. 1948 წლის 10 დეკემბერს, გაერთიანებული ერების ორგანიზაციის გენერალურმა ასამბლეამ, ხელი მოაწერა ადამიანის უფლებათა საყოველთაო დეკლარაციას. ეს გახლდათ კაცობრიობის უდიდესი მონაპოვარი მთელი ისტორიის მანძილზე. სწორედ ეს დოკუმენტი უზრუნველყოფს მთელ მსოფლიოში თითოეული მოქალაქის როგორც სამოქალაქო, ასევე პოლიტიკურ, სოციალურ, ეკონომიკურ და კულტურულ უფლებებს რაიმე დისკრიმინაციის გარეშე.

ამ მართლაც დიდ დღეს მიეძღვნა ივანე ხრიკულის სახელობის ხაშურის მუნიციპალიტეტის სოფელ ხცისის საჯარო სკოლაში (დირექტორი – **ლელა ქვრივიშვილი**) სამოქალაქო კლუბის მიერ ორგანიზებული ღონისძიება, დისპუტი თემაზე „თავისუფლება და დემოკრატია“. ღონისძიების ორგანიზატორი გახლდათ საზოგადოებრივ მეცნიერებათა კათედრა, კერძოდ, სამოქალაქო განათლების კლუბის კოორდინატორი **ნინო ღულაძე**. ექსპერტის რანგში მოწვეული იყო ღვაწლმოსილი პედაგოგი, ამავე სკოლის ისტორიისა და სამოქალაქო განათლების ყოფილი პედაგოგი ბატონი **რევაზ ქაფიანიძე**. ღონისძიებას ესწრებოდნენ VII-XII კლასების მოსწავლეები, მასწავლებლები, მშობლები და სოფლის თემის წარმომადგენლები. დამსწრე საზოგადოებიდან ნებისმიერ მსურველს შეეძლო მონაწილეობა მიეღო კამათში და თავისი აზრი დაეფიქსირებინა. ქალბატონმა ნინო ღულაძემ დასაწყისში მცირე ექსკურსი გააკეთა ისტორიაში, მოკლედ მიმოიხილა სამივე თაობის უფლებები და შემდეგ გადავიდა სადისკუსიო საკითხებზე. მოსწავლეთა გამოწვევისა და კამათში ჩართვის მიზნით, მან დასვა კითხვები: როგორ გესმით თავისუფლების ცნება? რა არის იძულება? რა განსხვავებაა თავისუფლებასა და თვითნებობას შორის? ფრანგი ფილოსოფოსის სარტრის აზრით თავისუფლება სასჯელია. რამდენად მართებულია ეს შეფასება? არის თუარა პასუხისმგებლობა თავისუფლების საფასური? არის თუ არა დემოკრატია თავისუფლების გარანტი? – მოსწავლეები თავისუფლად, უკომპლექსოდ გადმოსცემდნენ საკუთარ აზრებს, მსჯელობდნენ განსხვავებულ მოსაზრებებზე, ცხოვრებისეული მაგალითებისა და მხატვრული ლიტერატურიდან შესაბამისი არგუმენტების მოშველიებით, ცდილობდნენ საკუთარი სისწორის დამტკიცებას. ბოლოს კონსესუსამდე მიდიოდნენ და ერთ აზრზე ჯერდებოდნენ. კამათში განსაკუთრებით აქტიურად იყვნენ ჩართულები: **მაგდა ლომიძე, ლევან ლომიძე** (XI კლასი), **ნინო ქაფიანიძე, მარიამ ახალკაცი, მარიამ ძამანაშვილი** (XII კლასი), **დავით მაზიაშვილი, თამარ სეხნიაშვილი** (X კლასი), **მარიამ ჯიქურაშვილი, ხატია ლომიძე, თამაზ ბიჭიკაშვილი** ( IX კლასი), ასევე პედაგოგები: **ეკატერინე ლომსაძე, თამარ კვინიკაძე, თამარ მეტრეველი, რევაზ ქაფიანიძე** და **ნინო ღულაძე.** კამათის დროს დაცული იყო ყველა წესი. ადგილი არ ჰქონია უხეშობას, უყურადღებობას, სხვისი აზრის უპატივცემულობას. ყველაფერი იყო უშუალო, ბუნებრივი.

კამათის დასრულების შემდეგ, სადისკუსიო საკითხების ირგვლივ, ანალიზი გააკეთა ბატონმა რევაზ ქაფიანიძემ. ბოლოს კი ღონისძიება მოკლედ შეაფასეს მოსწავლეებმა, მათ განსაკუთრებით განსხვავებული ფორმატი მოეწონათ და ის, რომ თავისუფალი იყვნენ საკუთარი აზრის გამოთქმაში, აღნიშნეს, რომ იყვნენ ისეთები როგორებიც არიან სინამდვილეში. წაიკითხეს ე.წ. საკლასო ლექსი „რა არის თავისუფლება?“, რომელიც ფორმატზე იწერებოდა ღონისძიების მსვლელობისას იმ სიტყვებით, რომლითაც ისინი მსჯელობის დროს ახასიათებდნენ თავისუფლებას.

**რა არის თავისუფლება?**

თავისუფლება ბედნიერებაა;
თავისუფლება პასუხისმგებლობაა;
თავისუფლება პატივისცემაა;
თავისუფლება სასჯელია (სარტრი);
თავისუფლება არჩევანია დიდი;
თავისუფლება უფლებაა თავის;
ჩემი, შენი, მისი,
ჩვენი, თქვენი, მათი.

ღონისძიების შეფასებისას ნინო ღულაძემ აღნიშნა: *„ჩვენი მიზანი იყო მოსწავლის პიროვნული განვითარების ხელშეწყობა, რათა მან შეძლოს თვითდამკვიდრება საზოგადოებაში. ეს ღონისძიება იყო სულ პატარა კენჭი ახალი სამოქალაქო საზოგადოების მშენებლობაზე ჩვენ მიერ დადებული. ამას სხვა მრავალი ღონისძიება მოჰყვება, სხვადასხვა ფორმატში. გვეიმედება, რომ აქტიური მოქალაქის თვისებებით აღსავსე თავისუფალ პიროვნებებს გავზრდით“.*

**ზინაიდა ნებიერიძე**
*ხცისის საჯარო სკოლის*
*საზოგადოებრივ მეცნიერებათა*
*კათედრის*
*ხელმძღვანელი*






იუბილე

# სტუდია „ჩოხოსნები“ 15 წლისაა

27 ნოემბერს, ნაძალადევის რაიონის საზოგადოება „არტ-ჰოლში“, დაარსების 15 წელი იზეიმა ხელოვნების სტუდიამ „ჩოხოსნები“. საღამოს ესწრებოდნენ: ქალბატონი **ნანა ცინცაძე** – პოეტი, რომელმაც ლექსით დაამშვენა საღამო და წარმატებები უსურვა ქალბატონ დარეჯანს და მის სტუდიას; ბატონი **გოგი დოლიძე** – ჩოხოსან რაინდთა კავშირის დამფუძნებელი, შოთა რუსთაველის სახელობის თეატრალური უნივერსიტეტის პროფესორი, რომელმაც სტუდიის მოსწავლეები „ჩოხოსნებად“ მამადავითზე მონათლა, ამ საზეიმო დღესაც დალოცა მონაწილე ბავშვები და წარმატებები უსურვა; ნაძალადევის რაიონის რესურსცენტრის და ადგილობრივი თვითმმართველობის წარმომადგენლები.

1999 წელს, მე-11 საჯარო სკოლის ბაზაზე, მშობლების მოთხოვნით და სკოლის დირექტორის, ბატონ **რომან მოსიშვილის** მხარდაჭერით, ჩამოყალიბდა ხელოვნების სტუდია, რომლის სულის ჩამდგმელი და ორგანიზატორი გახლდათ ქალბატონი **დარეჯან ლეკვეიშვილი**. სტუდიამ ბევრი ბავშვი გამოზარდა, მრავალი მოზარდი აზიარა ხალხურ შემოქმედებას და ხელოვნებას. ქალბატონი დარეჯანი დღემდე წარმატებით აგრძელებს ამ დიდ საქმეს, სტუდიის პედაგოგებთან ერთად. წლების მანძილზე მოსწავლეთა აღზრდას აქტიურად ემსახურებიან თავისი საქმის პროფესიონალები: **ბელა ბიჩინაშვილი, თამარ ჟორდანია, ლელა ურუშაძე, ნინო ამირანაშვილი, თეა ჭკუასელი, გიორგი ბუგიანიშვილი, დავით კვაშილავა, გიორგი აბაშიძე, მალხაზ ქოიავა, ხვიჩა ხვთისიაშვილი, ზვიად თოთიაური**.

საიუბილეო საღამოზე მსმენელთა აღტაცება გამოიწვია ყველა მონაწილემ. საღამო დაამშვენა სკოლის დირექტორის, ქალბატონ **ნინო ჯაბანიშვილის** გამოსვლამ, რომელმაც სიმღერით მიულოცა სტუდიას იუბილე და მოხიბლა მსმენელი.

საღამოს გვირგვინად იქცა სტუდიის დირექტორის გამოსვლა, რომელმაც ნოდარ დუმბაძის „ლოცვა საქართველოს“ მჭევრმეტყველი სიტყვით დალოცა სტუდიის ყველა მონაწილე, პედაგოგები, დამსწრე საზოგადოება და სრულიად საქართველოს გაბრწყინებული ხვალინდელი დღე უსურვა.

ლაურა ბიძინაშვილი







ინფორმაცია

# თამარ სანიკიძე ახალციხელ პედაგოგებს შეხვდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** ზოგად განათლებაში მიმდინარე სიახლეები და სამომავლო გეგმები ახალციხელ პედაგოგებსა და დირექტორებს გააცნო. მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურმა** მათ მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, განვითარებისა და კარიერის დაგეგმვის ახალი სქემა წარუდგინა, ხოლო ახალ სახელფასო პოლიტიკაზე პედაგოგებს სამინისტროს ეკონომიკური დეპარტამენტის უფროსი **ლაშა სალინაძე** ესაუბრა.

შეხვედრის ფარგლებში, მინისტრმა და სამინისტროს სხვა წარმომადგენლებმა პედაგოგთა ყველა შეკითხვას უპასუხეს და მათი შენიშვნები და წინადადებები მოისმინეს. ამავე დღეს, მინისტრმა ახალციხის სკოლების წარჩინებულ კურსდამთავრებულებს ოქროსა და ვერცხლის მედლები გადასცა.

სამუშაო ფორმატში პედაგოგებთან შეხვედრა და სიახლეების წარდგენა მომავალშიც გაგრძელდება. სამინისტროს წარმომადგენლები ყველა რეგიონში ჩავლენ და გამართავენ შეხვედრებს.

# MCC–ის 30 მილიონი აშშ დოლარი ამერიკული საბაკალავრო პროგრამების განსახორციელებლად საქართველოში



საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ**, ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს აღმასრულებელმა დირექტორმა **მაგდა მაღრაძემ** და აშშ-ს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტის (SDSU) საქართველოს დეკანმა **კენ უოლშმა** სამცხე-ჯავახეთის სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან და პროფესორებთან საინფორმაციო შეხვედრა გამართეს. შეხვედრის მიზანი იყო სტუდენტებისთვის, საშუალო სკოლის დამამთავრებელი კლასების მოსწავლეებისთვისა და სკოლის დირექტორებისთვის აშშ-ს ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის მიერ დაფინანსებული უმაღლესი განათლების პროექტის „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020" დეტალების გაცნობა.

აღნიშნულ პროექტს სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველოს სამი სახელმწიფო უნივერსიტეტისგან შემდგარი კონსორციუმი განახორციელებს. შედეგად, კურსდამთავრებულები საქართველოში მიიღებენ ამერიკულ განათლებასა და დიპლომებს საინჟინრო, ტექნოლოგიებსა და საბუნებისმეტყველო სპეციალობებში. პროექტის ბიუჯეტია 30 მილიონი აშშ დოლარი.

სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტისა და ივ. ჯავახიშვილის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტისა და საქართველოს ტექნიკური უნივერსიტეტისაგან შემდგარი კონსორციუმი სამეტაპიანი საერთაშორისო ტენდერის შედეგად შეირჩა. სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი საქართველოში, 2014-2015 სასწავლო წლიდან, შემდეგ საბაკალავრო პროგრამებს განახორციელებს:

– ელექტრული ინჟინერიის, ქიმიის (ბიოქიმიის კონცენტრაცია) და კომპიუტერული მეცნიერების სპეციალობებში;

– ელექტრული ინჟინერიის, კომპიუტერული ინჟინერიის და სამოქალაქო მშენებლობის საბაკალავრო პროგრამები;

– კომპიუტერული ინჟინერიის (მიკროელექტრონიკა), ელექტრული ინჟინერიის და სამოქალაქო მშენებლობის პროგრამები.

პროექტი „სან დიეგოს სახელმწიფო უნივერსიტეტი და საქართველო 2020" 2014 წელს დაიწყო და ხორციელდება საქართველოსა და აშშ-ს შორის 2013 წელს ხელმოწერილი ათასწლეულის გამოწვევის კორპორაციის (MCC) მეორე 140 მილიონი აშშ დოლარის კომპაქტის ფარგლებში, რაც ზოგადი, პროფესიული და უმაღლესი განათლების სექტორში პროექტების განხორციელებას ითვალისწინებს. კომპაქტის მიზანია საქართველოში შრომის ბაზრის მოთხოვნების შესაბამისი ადამიანური კაპიტალის გაძლიერება, საინჟინრო და ტექნოლოგიური სფეროს სპეციალისტების განვითარების შედეგად.

# სამცხე–ჯავახეთის რეგიონში განხორციელებული საგანმანათლებლო პროექტები



პროექტის „საქართველოს მთავრობა ღია მმართველობისათვის" ფარგლებში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილე **ლია გიგაურმა**, სამცხე-ჯავახეთის რეგიონში, სამინისტროს მიერ საგანმანათლებლო და ინფრასტრუქტურული მიმართულებით განხორციელებული პროექტების შესახებ პრეზენტაცია წარადგინა. პრეზენტაციას მხარის გუბერნატორი **აკაკი მაჭუტაძე**, საჯარო სამსახურებისა და არასამთავრობო სექტორის წარმომადგენლები და ჟურნალისტები ესწრებოდნენ.

განათლება სახელმწიფოს ერთ-ერთი მთავარი პრიორიტეტია. შემუშავდა ახალი სტრატეგია, სადაც აქცენტი გაკეთებულია განათლების ხარისხზე, ხელმისაწვდომობასა და ინსტიტუციური განვითარებისა და დაფინანსების ზრდაზე. ასევე შემუშავდა სოციალურად ორიენტირებული პროგრამები. მიმდინარეობს სასწავლო გეგმის რევიზია და განვითარება, მუშავდება მასწავლებელთა პროფესიული განვითარების სქემა. მხოლოდ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საგნობრივი ტრენინგი, 2013 წელს, 825-მა მასწავლებელმა გაიარა, ხოლო 2014 წელს – 1057-მა. სულ სამცხე-ჯავახეთის რეგიონში 512 მასწავლებელია. ინტერნეტითა და კომპიუტერით უზრუნველყოფილია ყველა საჯარო სკოლა, ბუკები გადაეცათ პირველკლასელებს, კომპიუტერები – პირველკლასელთა დამრიგებლებს. უსაფრთხო და ჯანსაღი სკოლის კონცეფციის ფარგლებში დაინერგა შემდეგი სერვისები:

– მანდატურები – 9 სკოლა;

– სამედიცინო კაბინეტი – 6 სკოლა;

– პროფესიული ორიენტაციისა და კარიერის დაგეგმვის კურსი – 38 სკოლა.

ზოგადი განათლება ხელმისაწვდომია ყველასათვის. სამცხე-ჯავახეთის რეგიონში საჯარო სკოლების 26 062 მოსწავლე და კერძო სკოლების 6 მოსწავლე უფასო სახელმძღვანელოებით სარგებლობს, 52 სკოლის 1377 მოსწავლეს ემსახურება უფასო სასკოლო ტრანსპორტი. ინკლუზიურ განათლებაში ჩართულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე 141 მოსწავლე და 22 სპეციალური მასწავლებელი.

ინფრასტრუქტურული პროექტების ფარგლებში, ბოლო ორი წლის განმავლობაში, 67 საჯარო სკოლა რეაბილიტირდა.

დაგეგმილია: საზოგადოებრივი კოლეჯის „ოპიზარი" სასწავლო კორპუსის ნაწილობრივი რეაბილიტაცია; ინფრასტრუქტურის ადაპტირება სსსმ სტუდენტების საჭიროებებზე; მეცხოველეობის ფერმის მშენებლობა და თანამედროვე ტექნოლოგიების შესაბამისი სახელოსნოების მოწყობა. ასევე, სს „ბორჯომთან" თანამშრომლობით, ბორჯომში, ახალი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულების დაფუძნება.

მოსწავლეთა წახალისებისა და მოტივაციის მიზნით, სასკოლო ინიციატივების პროგრამის ფარგლებში, დაფინანსდა 1 საჯარო სკოლა (1000 ლარი). 2013-2014 წლებში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონის 93 წარჩინებულ მოსწავლეს გადაეცა ოქროს მედალი, ხოლო 99 მოსწავლეს – ვერცხლის. სამოქალაქო ცნობიერების ამაღლების მიზნით, შეიქმნა 35 სამოქალაქო კლუბი.

ზურაბ ჟვანიას სახელობის ადმინისტრირების სკოლაში, სამცხე-ჯავახეთის რეგიონიდან, გადამზადდა 617 საჯარო მოხელე. სკოლის მიზანია სახელმწიფო ენის სწავლება საჯარო სექტორში დასაქმებული ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენელთათვის.

# ჰარვარდის უნივერსიტეტთან თანამშრომლობა ახალ ეტაპზე გადავა

საქართველოში ოფიციალური ვიზიტით იმყოფებიან ჰარვარდის უნივერსიტეტის წარმომადგენლები. უნივერსიტეტის პროფესორებს საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრი **თამარ სანიკიძე** და სამინისტროს სხვა წარმომადგენლები შეხვდნენ.

შეხვედრაზე საუბარი შეეხო ჰარვარდის უნივერსიტეტთან ერთად განხორციელებულ პროექტებს, მათი შედეგების შეჯამებას, სამომავლო გეგმებსა და ქართული ცენტრის დაარსებას ამერიკაში.

პირველი ქართული ცენტრი ამერიკაში ჰარვარდის უნივერსიტეტში ამოქმედდება, სადაც მსურველებს საშუალება ექნებათ შეისწავლონ ქართული ენა და კულტურა. ცენტრი ხელმისაწვდომი იქნება როგორც ადგილობრივი, ისე ქართველი სტუდენტებისათვის. შეხვედრაზე ასევე აღინიშნა, რომ ქართველი სტუდენტებისთვის მნიშვნელოვანი იქნება გაცვლითი კვლევითი სტიპენდიების დაარსება. ამ მიმართულებით ამერიკულ მხარესთან მოლაპარაკება გაგრძელდება და უახლოეს მომავალში პროექტი ამოქმედდება.

# დონორ ორგანიზაციებთან ერთად განხორციელებული პროექტები შეჯამდა

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსა და ათასწლეულის გამოწვევის ფონდი – საქართველოს ერთობლივი თანამშრომლობით, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროში დონორთა საკოორდინაციო შეხვედრა გაიმართა.

ღონისძიება საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** გახსნა და დონორ ორგანიზაციებს საქართველოს განათლების სფეროში შეტანილი წვლილისთვის მადლობა გადაუხადა. განიხილეს 2014 წლის განმავლობაში დონორი ორგანიზაციების მიერ განხორციელებული პროექტები, ისაუბრეს სამომავლო გეგმებსა და განათლებისა და მეცნიერების სამინისტროსთან ერთად დაგეგმილი პროგრამების განხორციელების თაობაზე.



# სოფელ მუხრანში ახალი სკოლა გაიხსნა

მცხეთის რაიონის სოფელ მუხრანში ახალი სკოლა აშენდა, რომელიც რამდენიმე კვირაა ფუნქციონირებას შეუდგა. სკოლა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრმა **თამარ სანიკიძემ** და სპორტისა და ახალგაზრდობის საქმეთა მინისტრმა **ლევან ყიფიანმა** მოინახულეს.

ახალი სკოლა თანამედროვე სტანდარტების შესაბამისია, გათბობის სისტემით, ბიბლიოთეკით, საინფორმაციო ტექნოლოგიებისა და საბუნებისმეტყველო კლას-კაბინეტებით; ადაპტირებულია სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე ბავშვებისთვის და აღჭურვილია სპეციალური პანდუსებითა და ლიფტით; აქვს სპორტული და სააქტო დარბაზები, ღია სპორტული მოედანი. ლევან ყიფიანმა მოსწავლეებს სპორტული ინვენტარი გადასცა და სპორტული შეჯიბრებების ორგანიზებასა და ჩატარებაში დახმარება აღუთქვა. მუხრანის სკოლა 240 მოსწავლეზეა გათვლილი.

მცხეთის რაიონში, სოფელ წილკანში, კიდევ ერთი თანამედროვე სკოლა აშენდა, რომელიც მალე ამოქმედდება. სოფელ მუხრანსა და წილკანში სკოლების მშენებლობა, რომელსაც სამინისტროს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ინფრასტრუქტურის განვითარების სააგენტო ახორციელებს, გასული წლის ბოლოს დაიწყო და ინტენსიურად მიმდინარეობდა. ეს სკოლები იმ ცხრა სკოლას შორისაა, რომლის მშენებლობაც სამინისტრომ გასულ წელს დაიწყო. სკოლების ნაწილი უკვე ექსპლუატაციაშია, ნაწილი ახალ წლამდე გაიხსნება, ხოლო ორი სკოლა 2015 წლის დასაწყისში დასრულდება. მომავალ წელს კიდევ რვა ახალი სკოლის მშენებლობა დასრულდება.



მშობელთა კრება

# როგორ მოვწყვიტოთ ბავშვი კომპიუტერის ეკრანს

ბოლო ხანს მშობლების ერთ-ერთი მთავარი საფიქრალია, როგორ მოსწყვიტონ პატარა ბავშვი კომპიუტერის ეკრანს. სპეციალისტთა რჩევა მათ ნამდვილად არ აღაფრთოვანებს: პატარა ბავშვი კომპიუტერთან საერთოდ არ უნდა დავსვათ! დიახ, საერთოდ.



## როგორ იზრდებოდნენ ბავშვები ადრე

მოდი, სავარძელში ჩავსხდეთ და გავიხსენოთ, როგორი იყო თუნდაც ჩვენი ბავშვობა. წლინახევრამდე ბავშვი ან დედას უჭირავს ხელში, ან მანეჟში, იატაკზე, ეტლში, თავის საწოლში ზის. მის გართობას მთელი ოჯახი ცდილობს.

ზოგჯერ მარტოც ტოვებენ, სანამ დედა საქმიანობს. ზოგიერთ ოჯახს, გარემოებათა გამო, პატარა ბაგაში შეჰყავს, თუმცა სიტუაცია აქაც ანალოგიურია. პატარა ხშირად არტყამს რაიმეს თავს, თავზე იმხობს გაუთოებულ სარეცხს, ზოგჯერ რაღაცას ამტვრევს... წლინახევრიდან სამ წლამდე პატარა ხელჩაკიდებული დაჰყავთ. ის უფროსებთან ერთად სეირნობს ეზოში, პარკში, თავდავიწყებით თამაშობს ქვიშაში, პირისკენ მიაქანებს მიწიდან აღებულ სიგარეტის ნამწვს, ეცემა და დგება, ცდილობს, ძაღლს პირში ჩაუყოს ხელი... სამიდან ხუთ წლამდე საათობით დგას ავტოფარეხის წინ და უყურებს, როგორ აკეთებენ მანქანას, ავადმყოფობისას, საბანში გახვეული, ფანჯრიდან გაჰყურებს გამვლელ-გამომვლელს. შეძლებისამებრ, მშობლებსაც ეხმარება – ხან ცოცხს წამოავლებს ხელს, ხანაც მამასთან ერთად მძიმე ყუთებს ექაჩება... ზოგჯერ კი, სანამ დედა საქმეს მოილევს, დაღლილს სავარძელში ეძინება. ექვსი წლიდან ბავშვი სკოლაში დადის, ჰყავს ამხანაგები, მეგობრები, გაკვეთილების შემდეგ ფეხბურთს თამაშობს, შინ გვიან ამოდის და ისეა დაღლილი, რომ სწავლას ძილი ურჩევნია... ველოსიპედს დააქროლებს, სარდაფებსა და სხვენს იკვლევს, ზოგჯერ ბურთსაც კარგავს. შესაძლოა, წიგნების კითხვაც დაიწყოს. ერთი სიტყვით, ცხოვრება აღსავსეა მოვლენებით, რომლებიც სულიერ და ფიზიკურ დაძაბვას მოითხოვს. ზოგჯერ ბავშვი ძილში წამოიყვირებს და მერე ისევ იძინებს. ფანტაზიორობს, აქვს საყვარელი ადგილები, იცის, სად უნდა იყიდოს მზესუმზირა, საღეჭი რეზინი, რომელ სადარბაზოში დაემალოს წვიმას, ჰყავს მეგობრები უფროსებს და მტრები თანატოლებს შორის. ის, რაც აღვწერეთ, ჯადოსნური, მაგრამ სავსებით რეალური სამყაროა. ის რადიკალურად განსხვავდება თანამედროვე ციფრულისგან.

## როგორია თანამედროვეობა?

მოდი, დავფიქრდეთ, როგორ ცხოვრობენ თანამედროვე პატარები. წლინახევრამდე განსხვავება უმნიშვნელოა, პამპერსებისა და სარეცხი მანქანის წყალობით დედას მეტი დრო რჩება, თუმცა მაინც უამრავი საზრუნავი აქვს, ამიტომ ბავშვი დიდხანს არის მიჯაჭვული ეტლს ან სკამს. ეზო არც ისე სასურველი ადგილია უამრავი მანქანის, ავტოფარეხისა და ძაღლების ექსკრემენტების გამო. თანამედროვე ქალაქურ ბინაში ბავშვის გასართობად ათასგვარი სათამაშო არსებობს. ისინი პატარას გარე სამყაროს დამოუკიდებლად კვლევის საშუალებას არ აძლევენ. ბავშვი კი მოწყენილია, ძალიან მოწყენილი. მას სურს, ეძებოს, გამოთხაროს, ჩაასხას, გადაასხას, გატეხოს, დაყნოსოს, ახმაუროს, დედას კი უნდა, თავისუფლად გაერთოს სოციალურ ქსელში ან მშვიდად მოამზადოს სადილი. გულახდილები თუ ვიქნებით, პატარა ბავშვი დედას სოციალური ქსელით ურთიერთობაში უფრო უშლის ხელს, ვიდრე კერძის მომზადებაში, დალაგებაში, რეცხვასა თუ უთოობაში.

ამიტომ, როგორც კი ბავშვი იმ ასაკს მიაღწევს, რომ თავისუფლად დაჯდება, უმალვე მობილურს ან პლანშეტს მიაჩეჩებენ ხელში ან სულაც ტელევიზორს ჩაურთავენ. შესანიშნავია! ახლა დედას შეუძლია, ნახევარი საათი წყნარად იყოს! კიდევ ერთი პრობლემაა საკუთარი ავტომობილი. დღეს ის ბევრ ოჯახს ჰყავს. წინათ თუ საზოგადოებრივი ტრანსპორტით ვმგზავრობდით, ახლა ვერც კი წარმოგვიდგენია, როგორ უნდა ვაკადროთ ის პატარას – ღმერთმა იცის, რა ვირუსი შეხვდება! რას ვაკეთებთ, ბავშვმა მანქანაში რომ არ მოიწყინოს? დახმარებას ისევ მობილურს „ვთხოვთ“. ის არა მარტო მგზავრობისას, არამედ რიგშიც გვეხმარება. ელექტრონულ ტექნიკას მრავალმხრივი ეფექტი აქვს. ის არის საშუალება:

- მივაღწიოთ მორჩილებას („თუ შემისრულებ, მობილურს მოგცემ“);
- დავსაჯოთ და დავემუქროთ („თუ ასე მოიქცევი, აიპედს არ მოგცემ!“);
- თავად დავისვენოთ;
- დავასაჩუქროთ;
- სწავლის სტიმული მივცეთ („თუ კარგად ისწავლი, გიყიდი“).

უკმაყოფილო შეძახილები: „არაფერი აინტერესებს, არაფრის წაკითხვა არ უნდა, არც კი გველაპარაკება!“ – მოგვიანებით გაისმის, დაახლოებით მაშინ, როცა ბავშვი 12 წელს მიუახლოვდება. თემის კიდევ ერთი მნიშვნელოვანი ასპექტი: სულ რაღაც სამი ათეული წლის წინათ პატარები თვალყურს ადევნებდნენ მშობლების ყოველდღიურ საქმიანობას, ერთად დადიოდნენ საყიდლებზე, სტუმრად. იმ დროს ბავშვების ნახატებზე ვხედავდით დედას – სამზარეულოში, მამას – ტელევიზორთან, შვილს – სათამაშოებთან ან წიგნებთან. დღევანდელ ნახატებზე კი ყველას აიპედი უჭირავს ხელში, ყველა მონიტორს მისჩერებია. მართლაც სევდიანი სურათია...

## ვასწავლოთ ბავშვებს ცხოვრება

ალბათ დაგვეთანხმებით, რომ ჩვენი, მშობლების, მთავარი ამოცანა, ჩვენი აღმზრდელობითი ძალისხმევის საბოლოო მიზანია, შვილი დამოუკიდებელი ცხოვრებისთვის, თანამედროვე სამყაროში გადარჩენისთვის მოვამზადოთ. საბოლოო ჯამში, ამას ვაკეთებთ, თანაც არცთუ ურიგოდ – პატარას ვაძლევთ განათლებას, ვზრუნავთ მის ჯანმრთელობაზე, ვცდილობთ, ჰქონდეს ლამაზი ნივთები, გარს ეხვიონ კარგი ადამიანები... მაგრამ სწავლების საუკეთესო მეთოდი ხომ პირადი მაგალითია. ჰოდა, რას ხედავენ ჩვენი შვილები? ჩვენს ზურგს, რომელიც კომპიუტერის ეკრანს ეფარება. ისინი აღარ ჩადიან ეზოში, აღარაფერს აღმოაჩენენ, გადაეჩვივნენ აქტიურ თამაშს. ბავშვებს არც საბაბი აქვთ და არც საშუალება, შეიცნონ სამყარო და საკუთარი თავი. თანამედროვე ქალაქელი ბავშვები კომპიუტერული ტექნოლოგიების, ვირტუალური ურთიერთობებისა და სათამაშო შერკინებების სტერილურ სამყაროში ცხოვრობენ. იმან, რასაც სპეციალურ ლიტერატურაში როლური თამაშები ჰქვია (დედაშვილობანა, მასწავლებლობანა, პაროლობანა, ორდროშობანა) ან უბრალოდ რაიმე სიუჟეტის შექმნამ, რაც იწყება სიტყვებით: „მოდი, ვითომ...“ – დღეს საერთაშორისო ქსელში გადაინაცვლა და უმთავრესად ვირტუალურ სამყაროსთან ურთიერთობით გამოიხატება. არ არსებობს მზა რეცეპტი იმისა, როგორ მოვწყვიტოთ ბავშვი მონიტორს. იმ სამყაროს ალტერნატივა, სადაც ის ყოვლისშემძლეა, იმდენად მომხიბლავი უნდა იყოს, რომ მისი ყურადღება მიიპყროს. მაგრამ ვიდრე ბავშვს რამეს შევთავაზებდეთ, თავად მოგვიწევს ინტერნეტიდან გამოსვლა და კომპიუტერის გათიშვა. გათიშეთ კომპიუტერი, მაგრამ მანამდე მორალურად მოემზადეთ, რომ აიტანოთ ბავშვის აბსტინენციის მსგავსი რეაქცია, მისი აგრესია, შანტაჟის მცდელობა („თუ კომპიუტერს არ ჩართავ, თავს მოვიკლავ!“). უნდა შეძლოთ, საღამოობით, სამსახურიდან დაბრუნების შემდეგ, ბავშვთან ერთად სასეირნოდ წახვიდეთ; კონტაქტი გქონდეთ შვილთან, რომელსაც, მას შემდეგ, რაც კომპიუტერს მოსწყვიტეთ, აღარც კი სურს თქვენთან საუბარი. არა უშავს, მოგიწევთ, ბავშვს ხელახლა აჩვენოთ სამყარო, ხელახლა დაამყაროთ მასთან ურთიერთობა. ასწავლეთ სეირნობა, თამაში, საჭმლის მომზადება, დაისის ყურება, ხმამაღლა კითხვა, სიმღერა. მას ეს ყველაფერი არ შეუძლია – ყურებში სასმენები აქვს გარჭობილი, ხელში კი პლანშეტი უჭირავს. სხვათა შორის, წერილი შეიძლება კალმითაც დაიწეროს, ხოლო თამაშის არსი მეგობრის თვალებში სიხარულის დანახვაა! ასეთია ნორმალური ცხოვრება, ცხოვრება, როგორიც ის უნდა იყოს და იქნება კიდეც, ოღონდ გამორთეთ, გამორთეთ კომპიუტერი!

**მარიკა დვალი**

# როგორ შევეჩვიოთ სასკოლო რეჟიმს

ბავშვი სკოლაში მიდის. დგება ოჯახისთვის ყველაზე საპასუხისმგებლო პერიოდი. სკოლა უცნობი სამყაროა, რომელიც პატარას უამრავ სიახლეს ჰპირდება: ახალ სოციალურ გარემოს, თანატოლთა ახალ საზოგადოებას, ახალ მეგობრებს, მასწავლებლებს, რომლებისგანაც უამრავ საინტერესო რაიმეს შეიტყობს... ბუნებრივია, მშობლები ღელავენ, იწყება ახალ გარემოსთან შეგუება, ფიზიკური და ფსიქოლოგიური ადაპტაცია, ეს კი ხანგრძლივი პროცესია.

ამ რთული და გრძელი გზის დასაწყისში მათ შვილს მრავალი დაბრკოლება ელის. სანამ სწავლას შეუდგებოდეს, ბავშვი ახალ ცხოვრებას უნდა შეეჩვიოს. ეს თვეობით გრძელდება, ზოგჯერ – მთელი წელიც კი. მაინც რა ფსიქოლოგიური პრობლემები შეიძლება წარმოიშვას, რა სირთულეებს ვეჯახებით ყველაზე ხშირად და როგორ გადავლახოთ ისინი?

პირველი კლასი ბავშვის ცხოვრების მართლაც მნიშვნელოვანი ეტაპია. პატარა ჯერ ვერ აცნობიერებს, სად მოხვდა. არ იცის, რომ მისთვის ახალი ცხოვრება იწყება, ახალი მოვლენები, ახალი მოვალეობები. აქამდე ის მშობლებს იყო მინდობილი და ახლა ცდილობს, მათი ქცევის, მათი განცდების მიხედვით ამოიცნოს, რა ხდება მის თავს. სკოლამდე ბავშვის ერთადერთი საქმიანობა თამაში იყო, ამიერიდან კი ყველაფერი შეიცვლება. თუ პატარა საბავშვო ბაღში დადიოდა, სკოლასთან შეგუება გაუადვილდება, რადგან ბაღშივე გამოიმუშავებს საჭირო უნარ-ჩვევებს. იქ ბავშვს უწევს მაგიდასთან თანატოლების გვერდით ჯდომა, პედაგოგის კითხვების მოსმენა, პასუხის გაცემა, ამას ემატება მიზანმიმართული მეცადინეობები, წიგნის, რვეულის, საწერი კალმის გამოყენება... ბევრს მიაჩნია, რომ საბავშვო ბაღში სიარული აუცილებელი არ არის – სკოლისთვის საჭირო ჩვევების გამომუშავება შინაც შეიძლება. მათ ავიწყდებათ, რომ შინ ბავშვი თავისუფალია, ყველა თავს ევლება, არავინ ზღუდავს, სკოლაში კი ის იქაურ წესებს უნდა დაემორჩილოს: განსაზღვრული ხნის განმავლობაში იჯდეს მერხთან, უნებართვოდ ვერ გაინძრევა... საბავშვო ბაღში ნასიარულევი ბავშვი ამას უკვე შეჩვეულია, „ოჯახის ბავშვს“ კი პრობლემები ექმნება. თუმცა ისეც ხდება, რომ თანატოლებთან ურთიერთობას მოწყურებულნი, მეტი ინტერესით ხვდებიან სიახლეებს. ზოგიერთი ბავშვი მტკივნეულად განიცდის ახალ გარემოში მოხვედრას, ტირის, უჭირს მშობლების გარეშე ყოფნა. უნდა გვახსოვდეს: ახალ გარემოსთან ადაპტაცია არც ისე იოლია. თუ ბავშვმა მძაფრი რეაქცია გამოხატა, ძალდატანება არ შეიძლება. ის ნელ-ნელა, ეტაპობრივად უნდა შევაჩვიოთ სასკოლო რეჟიმს. სკოლაში, გარდა მასწავლებლებსა და თანატოლებთან ურთიერთობისა, ბავშვი კიდევ ერთ სირთულეს აწყდება – სწავლის პროცესს. ზოგი ინტერესითა და სიხარულით ხვდება ამ სიახლეს, ზოგს კი ძალიან უჭირს თამაშიდან სწავლაზე გადასვლა.

ბევრ მშობელს მიაჩნია, რომ რაც უფრო ადრე შეიყვანს ბავშვს სკოლაში, მით უკეთესია, ზოგი კი მიიჩნევს, რომ ხუთი წლის ბავშვი საამისოდ პატარაა. რომელი მიდგომაა უფრო მართებული? ზრდასთან ერთად ბავშვი განვითარების განსაზღვრულ ეტაპებს გადის. თითოეულ საფეხურზე ხდება მისი ფიზიოლოგიური და ფსიქოლოგიური მომწიფება. ექვს წლამდე სკოლაში მიყვანა ნაადრევია – ბავშვი სკოლისთვის ფსიქოლოგიურად, ინტელექტუალურად უნდა მოემზადოს, რათა თავი გაართვას მისდამი წაყენებულ მოთხოვნებს. სწავლის პროცესში ძალდატანება დაუშვებელია – ამან შესაძლოა უკურეაქცია, სწავლისადმი სიძულვილი გამოიწვიოს. ბავშვი ჯერ არ გამოსულა თამაშის სტადიიდან, ამიტომ ამ ეტაპზე თამაშისა და სწავლის შერწყმა უნდა მოხდეს. პატარას თანდათან უნდა გავაცნობიერებინოთ, რა არის სწავლა, რა არის დავალება. მეცადინეობის შემდეგ უნდა დავასვენოთ, გართობის საშუალება მივცეთ, შევეცადოთ, სწავლის მიმართ უარყოფითად არ განეწყოს. თანდათანობით უნდა მივახვედროთ, რომ დავალების შესრულება აუცილებელია. დიდი ტაქტით ავუხსნათ, რა არის ნიშანი – რომ ამგვარად აფასებენ, რამდენად კარგად შეასრულა ბავშვმა დავალება. ეს ყველაფერი ისე უნდა გაკეთდეს, რომ პატარა არ დაითრგუნოს. მან არ უნდა წარმოიდგინოს, რომ თუ მაღალი შეფასება დაიმსახურა, კარგი ბავშვია, ხოლო თუ დაბალი – ცუდი. ზოგჯერ პირველ კლასში ნიშნების ნაცვლად პედაგოგები სიმბოლოებს – მოღიმარი და მოწყენილი მზის გამოსახულებას იყენებენ. მოღიმარი მზე კარგ შეფასებას ნიშნავს, მოწყენილი კი – ცუდს. ამ მეთოდის გამოყენებისას ბავშვი ნაკლებად ითრგუნება. სამაგიეროდ, ხვდება, რომ მეტი უნდა იშრომოს, რათა მზემ გაუღიმოს. ზოგჯერ სიტუაციას მშობლები ართულებენ.



ბუნებრივია, ყველას სურს, მისი შვილი წარმატებული იყოს, მაგრამ უმჯობესია, ბავშვს შრომის ჩვევა გამოვუმუშაოთ და არა ნიშნებისთვის ომში ჩავაბათ და თანაკლასელებთან შეჯიბრებისკენ წავაქეზოთ. აქ დიდი სიფრთხილე გვმართებს. არ არის საჭირო დაბალი შეფასების გამო ბავშვის დატუქსვა, დასჯა – უმჯობესია ავუხსნათ, რომ თუ მოინდომებს, უკეთ ისწავლის, მაღალ შეფასებას დაიმსახურებს. ხშირად უნდა შევაქოთ ბავშვი, ბეჯითობისთვის წავახალისოთ, უყურადღებოდ არ უნდა დავტოვოთ მისი არც ერთი წარმატება. დიდი მნიშვნელობა აქვს, როგორ დახვდებიან ბავშვს სკოლაში. აქ დიდი ტაქტი, პედაგოგიური ოსტატობაა საჭირო, რადგან თუ ბავშვს სკოლასთან შეგუება გაუჭირდა, უცხო გარემოში მოხვედრისას ის ყოველთვის წააწყდება სირთულეს. ყველა ბავშვი თავისებურია და ინდივიდუალური მიდგომა სჭირდება. ზოგთან განსაკუთრებული სიფრთხილეა საჭირო. თუ პრობლემა სერიოზულია, სასურველია საქმეში ფსიქოლოგის ჩართვა. აუცილებელია პედაგოგებთან, სხვა მშობლებთან ურთიერთობა – არსებობს უამრავი პრობლემა, რომლებიც ერთობლივი ძალისხმევით უნდა დაიძლიოს, რაც საბოლოოდ ყველაზე ძვირფასს – ბავშვის სწორ აღზრდასა და ჯანსაღ პიროვნებად ჩამოყალიბებას ემსახურება.

**ნანა კალანდაძე**

mkurnali.ge

# აკადემიელთა ფინალი

კალათბურთის ფედერაციამ დაასრულა 13-წლამდელთა ქვეყნის ჩემპიონატი, რომელიც საკალათბურთო აკადემიის გუნდმა მოიგო. ფინალში მათ თანამოსახელე კლუბი, ოღონდ შინაგან საქმეთა სამინისტროდან, დაამარცხეს ორმატჩიან სერიაში. კალათბურთელმა აკადემიელებმა ორივე პაექრობა მოიგეს – პირველ შეხვედრაში 88:73 იმარჯვეს, განმეორებითი კი – 85:68. **ირაკლი ტომარაძისა** და **ალექსანდრე ჯაფარიძის** შეგირდები თავიდანვე დაწინაურდნენ და პირველ პერიოდში 26:14 იმარჯვეს. მეორეში კიდევ უფრო გაზარდეს უპირატესობა – 30:13. ამით მატჩის ბედიც გადაწყდა, რადგან საერთო ანგარიშით 56:27 გამარჯვებულის გამოვლენა დროის საქმე გახდა. მომავალ ჩემპიონებს საქმე არც დიდი შესვენების შემდეგ გაურთულებიათ, თუმცა პოზიციები შედარებით დათმეს, რადგან თავს ამოსუნთქვის უფლება მისცეს. მათ რიგებში საუკეთესო **მიხეილ ზურაბაშვილი** იყო, ვინც თანაგუნდელებს გამარჯვებაში 20 ქულით შეეწია. ჩემპიონატში მესამე ადგილზე „დინამო“ გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ პაექრობაში რუსთავში, ასევე ორმატჩიან სერიაში, ადგილობრივი კლუბი დაჯაბნა.



# ახალი დრო ახალი თაობით



სპორტის მრავალი სახეობის მსგავსად, ახალი თაობის წინსვლა მშვილდოსნობაშიც იგრძნობა. ქალთა შორის ისინი ჯერ ვერ ლიდერობენ, რადგან იქ ძველი თაობა მყარად ინარჩუნებს პოზიციებს, თუმცა კარგ შედეგებს აჩვენებენ, ვაჟთა ნაკრები კი მთლიანად მათზეა დამოკიდებული. ახალი თაობის ერთ-ერთი გამორჩეული წარმომადგენელია 17 წლის თბილისელი **ვლადიმერ დოლიძე**, რომელიც დედაქალაქის 37-ე რუსული საჯარო სკოლის XII მოსწავლეა. ახლახან მან კიდევ ერთი წარმატება მოიპოვა – გაიმარჯვა საქართველოს ზამთრის ჩემპიონატში, სადაც ახალგაზრდული ტურნირი მოიგო. თანატოლებში შესარჩევი ეტაპიც მოიგო 564 ქულით და მერე პლეი ოფშიც ზედიზედ აჯობა მეტოქეებს. ფინალში დამაჯერებლად, 6:2 მოუგო ბათუმელ **არჩილ ფარსენაძეს**.

საკმაოდ კარგად გამოვიდა კიდევ ერთი ახალგაზრდა ჩუბინი, 14 წლის ხელვაჩაურელი **ანა დუმბაძე**, ბათუმის VIII საჯარო სკოლის მოსწავლე, თუმცა ამჯერად უმედლოდ დარჩა. გოგონებში კვლავ დაამტკიცა ლიდერის სტატუსი ასევე ბათუმელმა **ციკო ფუტკარაძემ**, რომელმაც საერთაშორისო მასშტაბით დამაიმედებელი შედეგი აჩვენა – 553 ქულა და ჩემპიონიც გახდა. შეიძლება ითქვას, რომ გაისად, 24-28 თებერვალს, სლოვენიურ კოპერში, ევროპის ზამთრის ჩემპიონატში გამოსვლა გაინაღდა. შეგახსენებთ, რომ ჩვენი ნაკრები ამ შეჯიბრების გამარჯვებული და რამდენიმეგზის მედალოსანია.

# აია ჩემპიონია

დამთავრდა საქართველოს ჩემპიონატი 18-წლამდელ მორაგბეთა შორის, რომელმაც ძალიან დაძაბულ პაექრობებში ჩაიარა და მოზარდთა ნამდვილ სამჭედლოდ იქცა. ტურნირი საკმაოდ მაღალი დონის იყო, რადგან მასში 19 გუნდი ჩაება. მათ ორ ჯგუფში ორ წრედ იასპარეზეს, ორ-ორი საუკეთესო კი ნახევარფინალში გავიდა. იქ გუნდები ასე დაწყვილდნენ: ხარები/აკადემია, ლოკომოტივი/აია-1. რუსთავის „ხარებმა“, პირველ შეხვედრაში, მშობლიურ არენაზე, 29:10 აჯობა სარაგბო „აკადემიას“. მართალია, მეორე დათმო, მაგრამ უფრო ნაკლები სხვაობით – 18:27 და, ორი მატჩის ჯამში, მაინც გაიმარჯვა.

მეორე წყვილში ქუთაისის „აიამ“ ორივე შეხვედრაში იმარჯვა: შინ – 36:26, სტუმრად – 29:5 და ფინალში გავიდა. გადამწყვეტი შეხვედრა თბილისში, შევარდენის სტადიონზე გაიმართა. ქუთაისურ-რუსთავული დაპირისპირება დაძაბული და სანახაობრივად ლამაზი გამოდგა. ერთი შეხედვით, იმერლები მთლად უნაკლოდ ვერ გაისარჯნენ და წუნიც მრავლად მოეძევებოდათ, მაგრამ საბოლოოდ მაინც გაიმარჯვეს – 20:9. მათ ოთხი ლელო დადეს, რაც უდავოდ გამორჩეული შედეგია, მაგრამ, სამაგიეროდ, ოთხივე გარდასახვა ააცილეს, რასაც გამართლება არ აქვს. მით უფრო, რომ ამას ორი აცილებული საჯარიმოც დაემატა. მათდა ბედად, რუსთაველებმა კომბინაციურ თამაშში ვერ იმარჯვეს, თორემ გაცილებით ზუსტად ურტყამდნენ – 9-ვე ქულა 3 საჯარიმოთი დააგროვეს.

ბრინჯაოსთვის შეხვედრაც „შევარდენზე“ გაიმართა ფინალის წინ, რომელშიც „აკადემიამ“ „ლოკომოტივს“ 21:17 მოუგო.



# ქართულ–უკრაინული ბრძოლა გორში



ამ დღეებში გორის ცენტრალური სასპორტო სკოლის დარბაზმა მაღალ დონეზე უმასპინძლა ლევან იაშვილის სახელობის საერთაშორისო ტურნირს, 1998-2000 წლებში დაბადებულ ხელბურთელ ბიჭებს შორის. გორში ხელბურთის დამაარსებლის სახელობის ტურნირი პირველად შარშან ჩატარდა და აპირებენ, ტრადიციული გახადონ, რაც ამ რეგიონში ხელბურთის პოპულარობას დიდად უწყობს ხელს. ამჟამინდელ ტურნირში საქართველოს 7 სხვადასხვა ქალაქის გუნდი მონაწილეობდა, თუმცა იყვნენ უცხოელებიც – უკრაინიდან მოიწვიეს ქალაქ მელიტოპოლის გუნდი, რომელიც ამავე ასაკში უკრაინის ჩემპიონია. წელს გორელები იქ გამოვიდნენ საერთაშორისო ტურნირში და ახლა საპასუხო ვიზიტით მოიწვიეს მეგობრები. ფინალშიც მასპინძლები და სტუმრები გავიდნენ, საბოლოო გამარჯვება კი გორელებს დარჩათ – 33:25. საინტერესოა, რომ შიდა ქართლელებმა მათ, ერთი კვირის წინ, წყალტუბოშიც მოუგეს ანალოგიურ ტურნირზე, მაგრამ მაშინ მხოლოდ ორი ქულით დაამარცხეს. ამჯერად, გორში მესამე ადგილზე წყალტუბოელთა გუნდი გავიდა, რომელმაც ბრინჯაოსთვის პაექრობაში, ანგარიშით – 39:37, რუსთაველთა კოლექტივს სძლია.

*რუბრიკას უძღვება*
**ირაკლი თავაძე**

წიგნის თარო

# მიმდინარეობს ხელმოწერა


## გთავაზობთ ტესტების კრებულებს ქართულ ლიტერატურაში, რომელიც ითვალისწინებს საატესტატო გამოცდის მოთხოვნებს.

თითოეული კრებულის ფასი – 10 ლარი



ავტორები:
თამარ გელიტაშვილი, ამირან გომართელი

წიგნი I – ძველი ქართული მწერლობა;
წიგნი II – „ვეფხისტყაოსანი“;
წიგნი III – XIX საუკუნის მწერლობა

♦ კრებულებში ნახავთ თითქმის ყველა სავარაუდო კითხვა-პასუხს საგამოცდოდ გათვალისწინებული ნაწარმოებებიდან;

♦ მათი მეშვეობით გაგიადვილდებათ საპროგრამო ტექსტების ზედმიწევნით ათვისება-შესწავლა;

♦ სწორი პასუხების შემოხაზვის შედეგად თქვენ გექლევათ ნაწარმოებთა იდეურ-მხატვრული ანალიზი;

♦ თქვენ შეძლებთ დაძლიოთ ყველა საგამოცდო სირთულე.



### სავარჯიშო რვეული ქართულ მართლწერაში

წიგნი განკუთვნილია აბიტურიენტების, საჯარო მოხელეების, მასმედიის წარმომადგენლებისა და ყველა იმ პირისათვის, ვისაც სურვილი აქვს დაძლიოს ტესტირებასთან დაკავშირებული თუ, საზოგადოდ, ქართული მართლწერისა და მართლმეტყველების სირთულეები.

ფასი – 9 ლარი

კრებულის შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით „ახალი განათლების“ რედაქციაში: 295 80 23, 790 95 80 23, 599 88 00 73

## თემატური პლაკატები
### დაწყებითი კლასებისთვის
ფორმატი A2 (42X59.4 სმ)

1. წელიწადის დროები: შემოდგომა-ზამთარი
2. წელიწადის დროები: გაზაფხული-ზაფხული
3. ფერები
4. გარეული ცხოველები
5. გარეული ფრინველები
6. პროფესიები
7. რიცხვები
8. შინაური ცხოველები და ფრინველები
9. ჰიგიენის ნივთები
10. საოჯახო ნივთები
11. ტრანსპორტი
12. წყლის ბინადრები
13. რუსული ანბანი

ერთი ცალის ფასი
2.50 ლარი

## თემატური პლაკატები
### მაღალი კლასებისთვის
ფორმატი A1 (59.4X84.1 სმ)

1. რელიგიების წარმოშობა
2. გარეული ფრინველები საქართველოში
3. გარეული ცხოველები საქართველოში
4. მწერები
5. ქვეწარმავლები საქართველოში
6. საქართველოს მცენარეები
7. სამყაროს წარმოშობა
8. ნიადაგი – სიცოცხლის წყარო
9. რეპტილიები და დინოზავრები
10. მსოფლიოს დროშები
11. ზღვის დინებები
12. ქიმიური ელემენტების პერიოდული სისტემა
13. ქართველი მეომრის შეიარაღება და საბრძოლო ტექნიკა
14. მსოფლიოს შვიდი საოცრება

ერთი ცალის ფასი
3 ლარი

## რეპროდუქციები
### ხელოვნების კაბინეტისთვის

1. ჰორაციუსთა ფიცი – ჟაკ-ლუი დავიდი
2. მწყემსთა თაყვანისცემა – დომენიკო გირლანდაიო
3. ადელ ბლოხ-ბაუერის პორტრეტი – გუსტავ კლიმტი
4. მენინები – დიეგო ველასკესი
5. დელფოსელი სიბილა – მიქელანჯელო
6. მხატვრის ბაღი – კლოდ მონე
7. უძღები შვილის დაბრუნება – რემბრანდტი
8. საქანელა – ოგიუსტ რენუარი
9. საკვირაო გასეირნება გრან ჟატის კუნძულზე – ჟორჟ სიორა

ერთი ცალის ფასი
6.5 ლარი

## ქართველი მწერლები

1. ვაჟა-ფშაველა (10-ტომეული) I-VI ტომი, – 11 ლარი
2. მიხეილ ჯავახიშვილი (7-ტომეული) I, II, III, IV, V, VI, VII ტომი – 11 ლარი
3. ლევან გოთუა (7-ტომეული) I-II ტომი – 16 ლარი
4. ედიშერ ყიფიანი (2-ტომეული) I-II ტომი – 15 ლარი
5. კონსტანტინე გამსახურდია (10-ტომეული), I, II, VI, VIII, IX, X ტომი – 16 ლარი, IV-V ტომი –18 ლარი
6. რევაზ ინანიშვილი (6-ტომეული) I, II, III, IV, V, VI ტომი – 12 ლარი
7. ვახტანგ ჭელიძე (9-ტომეული) I-VII ტომი –12 ლარი
8. გრიგოლ აბაშიძე (6-ტომეული) I-V ტომი – 12 ლარი
9. ოტია იოსელიანი (10-ტომეული) I-X ტომი – 12 ლარი
10. თამაზ ჭილაძე (6-ტომეული) I-VI ტომი – 10 ლარი
11. გოდერძი ჩოხელი (5-ტომეული) I, III, V ტომი – 13 ლარი

მითითებულია თითო ტომის ფასი

## ქართული ლიტერატურის კაბინეტისთვის
### მწერალთა პორტრეტები (34X47 სმ)

1. მიხეილ ჯავახიშვილი
2. გიორგი ლეონიძე
3. ირაკლი აბაშიძე
4. ნოდარ დუმბაძე
5. აკაკი წერეთელი
6. კონსტანტინე გამსახურდია
7. პაოლო იაშვილი
8. სულხან-საბა ორბელიანი
9. პოლიკარპე კაკაბაძე
10. გურამ რჩეულიშვილი
11. დავით გურამიშვილი
12. ბესიკი
13. რევაზ ინანიშვილი
14. თეიმურაზ I
15. ვახტანგ VI
16. გიორგი მერჩულე
17. გრიგოლ ორბელიანი
18. დავით ალმაშენებელი

ერთი ცალის ფასი 4 ლარი

ხელმოწერის მსურველები დაგვიკავშირდით: 2958023; 790958023; 599880073. ელფოსტა axaliganatleba@gmail.com

# მიმდინარეობს ხელმოწერა

წიგნის თარო

„მსოფლიო ლიტერატურის კლასიკები"

- თეოდორ ფონტანე - **ეფი ბრისტი** ახალი
- მიგელ დელიბესი - **ორი რომანი** ახალი
- აჰმედ ჰ. ტანპინარი - **დროის ინსტიტუტი**
- ჟან ჟიონო - **ჰუსარი სახურავზე**
- ჯოზეფ კონრადი - **ლორდი ჯიმი**
- რაფაელ საბატინი - **ღამეული გართობანი ისტორიის მიღმა**
- ერნსტ ჰოფმანი - **სატანის ელექსირები**
- ნიკოლაი გოგოლი - **რჩეული მოთხრობები**
- ჯონ გოლზუორთი - **რჩეული მოთხრობები**
- ვიქტორ ჰიუგო - **პარიზის ღვთისმშობლის ტაძარი**
- უ. სომერსეტ მოემი - **ჭრელი საბურველი**
- ჯეკ ლონდონი - **დიდი სახლის პატარა დიასახლისი**
- ონორე დე ბალზაკი - **მამა გორიო**
- ფიოდორ დოსტოევსკი - **მკვდარი სახლის ჩანაწერები**
- ჰენრი რაიდერ ჰაგარდი - **მონტესუმას ასული**
- ლევ ტოლსტოი - **კავკასიური მოთხრობები**
- ჯონათან სვიფტი - **გულივერის მოგზაურობა**
- შოდერლო დე ლაკლო - **სახიფათო კავშირები**
- ალექსანდრე პუშკინი - **მოთხრობები**
- შტეფან ცვაიგი - **მოუთმენლობა გულისა**
- მარგერიტ დიურასი - **საყვარელი ჩრდილოეთ ჩინეთიდან**
- პროსპერ მერიმე - **ილელი ვენერა**
- გილბერტ კ. ჩესტერტონი - **დონ კიხოტის დაბრუნება**
- სტენდალი - **წითელი და შავი**
- ჯონ ბრეინი - **გზა ელიტისაკენ**
- ალბერტო მორავია - **მოწყენილობა**
- ალექსანდრე დიუმა - **კავკასია**
- ჯეიმზ ფ. კუპერი - **ჯაშუში**
- მაინ რიდი - **კვარტერონი**
- ვილჰელმ ჰაუფი - **ლიხტენშტაინი**
- თეოდორ დრაიზერი - **დაიკო კერი**
- ალბერ კოენი - **დედაჩემი**
- გუსტავ ფლობერი - **მადამ ბოვარი**
- ემილ ზოლა - **ქალთა ბედნიერება**

თითო ტომის ფასი – 12 ლარი



# რა არის რა

- ❖ ავტომობილი
- ❖ ამინდი
- ❖ ხალხთა დიდი გადასახლება
- ❖ გამოგონებები
- ❖ განძის ძიება
- ❖ გლადიატორები
- ❖ დრო და კალენდარი
- ❖ ძველი ეგვიპტე
- ❖ ევროპა
- ❖ ვიკინგები
- ❖ კოშკები და ცათამბრჯენები
- ❖ კრიმინალისტიკა
- ❖ მათემატიკა
- ❖ მეცნიერებები
- ❖ მსოფლიოს რელიგიები
- ❖ ძველი რომი
- ❖ ძველი საბერძნეთი
- ❖ სამურაი
- ❖ უდაბნო
- ❖ უძველესი ადამიანები
- ❖ ახსნილი და აუხსნელი ფენომენები
- ❖ ფიზიკა
- ❖ ქიმია
- ❖ მეკობრეები
- ❖ ოლიმპიური თამაშები
- ❖ მთები
- ❖ ჯანსაღი კვება
- ❖ არქიტექტურა




თითო ტომის ფასი – 9 ლარი

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
მიმღები – შპს „ახალი განათლება",
ს/კ202058735, ა/ა GE93LB0113314052305000,
ს/ს„ლიბერთი ბანკი", ბ/კ LBRTGE22



# შოთა რუსთაველი ვეფხისტყაოსანი

## ბაჩანა ბრეგვაძის პროზაული ვერსია

სერიიდან **ინტელექტი სკოლას**

ფასი – 15 ლარი

# გამომცემლობა „დიოგენე"



**თამაზ ვასაძე**
ქართული აგიოგრაფიული პროზა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
ფასი – 4 ლარი




**თამაზ ვასაძე**
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
ფასი – 10 ლარი



**თამარ ბეროზაშვილი**
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
ფასი – 10 ლარი

## ქიმია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. მეტრეველი
ფასი – 8 ლარი

## გეოგრაფია

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ზ. ჭანტურია, მ. ბლიაძე
ფასი – 8 ლარი

## ბიოლოგია

საატესტატო გამოცდისთვის
ლ. ბურდილაძე,
დ. ბარამიძე,
ქ. მაღრაძე,
ნ. სიხარულიძე,
მ. ბაგალიშვილი
ფასი – 4 ლარი

## ისტორია

საატესტატო გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 6 ლარი

## ფიზიკა

განახლებული

საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი,
ზ. ბერაია
ფასი – 8 ლარი

## ისტორია

ეროვნული გამოცდისთვის
ბ. ლორთქიფანიძე,
ნ. ახმეტელი,
ნ. მურღულია
ფასი – 9 ლარი

## მათემატიკა

ცნობარი აბიტურიენტებისა და სკოლის მოსწავლეთათვის
ა. წერეთელი
ფასი – 5 ლარი

## ბიოლოგია

აბიტურიენტებისთვის

ახალი

ლ. ბურდილაძე,
ნ. სიხარულიძე,
ქ. მაღრაძე,
დ. ნაზირიშვილი
პირველი ნაწილი – 10 ლარი
მეორე ნაწილი – 10 ლარი


ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 0790 958023, 599 880073
www.axaliganatleba.ge
E-mail: axaliganatleba@gmail.com Skype:axali.ganatleba

რედაქციის საბანკო რეკვიზიტები: შპს „ახალი განათლება" ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი" ბ/კ BAGAGE22,

რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.

ISSN 2233-386X
9 772233 386008 >


CMYK